წელიწადი მეოთხე. № 9 ფასი 25 კაპ.

ცხოვრება

ორკვირული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.

1 მაისი. 1916 წ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

1. ეროდიონ ევდოშვილი.
2. სიყრმის ოცნება, ივანე ელიაშვილისა.
3. დევნილები, დასასრული, ობოლი მუშისა.
4. უძილო ღამე, ლექსი, ი. სიხარულიძისა.
5. მაშ, გაფრინდი, ბუნების ლაღო, გაფრინდი, ჯანდაბასი.
6. სიყვარულის სიყვარული, ლექსი, მინა რაჭველისა.
7. ცხოვრება მოკლე სიზმარია, დ. თურდოსპირელისა.
8. სამშობლოს, ლექსი ვ. ალისა.
9. ამ გზაფხულს, ლექსი, ა. ხაბულიანისა.
10. რაკარგია გაზაფხული, ლექსი, ხ, ვარდოშვილისა.
11. სილამაზე, ლექსი, ნ. ზენობნელისა.
12. გაზაფხული, ლექსი, კ. ᲛᲘᲛᲭᲠᲐᲚᲘᲡᲐ.
13. ირინეს მწუხარება, გ. ლადოშვილისა.
14. ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ, ლექსი, ნესტორისა.
15. კულტურული კავშირი, ხომლელისა.
16. სიტყვა, ექვ. თაყაიშვილისა.
17. ბიბლიოგრაფია, ხომლელისა.
18. ჩემი პასუხი. ლ. ბახტაძისა.
19. ერობა, ივ. გომართელისა.
20. ქაღალდის კრიზისი.
21. ინგლისის სოციალისტები ინტერნაციონალის აღდგენის შესახებ.
22. მადლობის გამოცხადება.
23. პროტესტის გამო, ი. გოგოლაშვილისა.
24. სულით ავათმყოფობა, მკურნალის ს. დადუნაშვილისა.
25. შენიშვნები, კირილე წუთისოფლელისა.
26. მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, ამბერისა.

ᲯᲣᲗᲐᲘᲡᲘ

სტამბა ,,ძმობა'', ქარვასლის ქ., სახლი ჩარექოვისა.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წელს

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„ცხოვრება-ზე,“

რომელიც გამოვა ორ კვირაში, ერთხელ რომანოზ სპ. ფანცხავას რედაკტორობით.

ჟურნალში საუკეთესო სალიტერატურო ძალები ითანამშრომლებენ. წლიურათ ჟურნალი ეღირება 5 მ. ნახევარი წლით 3 მ., სამი თვით 1 მ. და 10 შ., თვიურათ 10 შაური.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ.

ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 1 მ. და პირველ ივნისს 1 მ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრების ყიდვა შეიძლება მხოლოთ რედაქციის კანტორაში (სტამბა „ძმობა“), გორში—ალექსანდრე რამანიშვილთან, ჭიათურაში—პლატონ კილასონიასთან, სამტრედიაში—მინა კოპალეიშვილთან, ბათუმში—„განთიადის“ კანტორაში, საჩხერეში—სიმონ გაჩეჩილაძესთან, ბაქოში—მეთოდე კაკაბაძესთან და პეტროგრადში—ალექსანდრე არაბიძესთან...

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спиридоновичу Панихава.

საპოლიტიკო, სალიტერატურო, ყოველდღიური გაზეთი

„მეგობარი“

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისთვის.

წელიწადში ღირს 9 მან., ნახევარი წლით—5 მან.. სამი თვით—2 მ. 3 აბაზი., თვეში—18 შაური, ცალკე ნუმერი ყველგან—შაურათ.

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ ნაწილათ: ხელის მოწერის დროს —3 მან. ნახევარი, 1 აპრილს—3 მან., 1 აგვისტოს 2 მან. ნახევარი.

ნახევარი წლის ხელის მომწერლებს შეუძლიათ ორ ნაწილათ შემოიტანონ ფული: პირველათ—3 მან., 1 აპრილს—2 მან.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიათ

გ. მაისაშვილის ნაწერების კრებულს.

ცხოვრება № 9.

1 მაისი 1916 წ.

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

† ირაკლიონ ევდოშვილი.

დაავათმყოფებული პოეტი ირ. ევდოშვილი ქ. სოხუმიდან ბატ. ნიკო თავდგირიძემ თფილისში მოიყვანა, რომ ეს ზაფხული წაღვერში ვაეტარებია. მარა საშინელმა სენმა სრულიათ მოულოდნელათ მოსპო ამ კაცის სიცოცხლე 2 მაისს, დილის ოთხ საათზე.

შედარებით ჯერ ახალგაზდა პოეტის სიკვდილმა ყოველ შეგნებულ ქართველს გული დაწყვიტა და გააშწარა...

ირაკლიონი იყო პირდაპირ ხალხის წრიდან გამოსული, ქიზიყელი დემოკრატი, მის კილოს ხმარობდა მწერლობაში და ენათესავებოდა უფრო ი. დავითა შვილს, ვაჟა-ფშაველას, მის ძმებს და შიო მღვიმელს. მარა იგი უფრო მარცხნით იყო გაწეული და მარქსიზმს იზიარებდა. როგორც ბოლოს გამოირკვა, ეს მარქსიზმი მის დემოკრატულ აუნებას და ხასიათს შეეხორცა და მას გულით უნდოდა თვისი მშობელი ერის საზღვრებში გახორციელებულიყო იგი. აი, ამნაირი ეროვნული სულისკვეთებით იყო პოეტი გამსჭვალული. ამაშია პოეტის, ირ. ევდოშვილის არა მდიდარი, მარა ენერგიული ლირიკის ინდივიდუალობაც...

მართალია, ლირიკა ირ. ევდოშვილისა არ არი მრავალგვარი და მრავალფეროვანი, არც დიდათ ნაზი, ტურფა და ძლიერი, ამასთანავე მისი ლექსები „ზეცის ასულის“ — პოეზიის მიმზიდველ და მომხიბვლელ სალიტერატურო ფორმებშიაც არ არი მდიდრულათ გაჩვეული... და ეს იმიტომ, რო განსვენებული პოეტი არ იყო დასაჩუქრებული დიდი ცოცხალი ტემპერამენტით და მღელვარე მხატვრულ შემოქმედობის ტალანტით. მარა მისი ენერგიული ლექსები იქცევდა ძალაუნებურათ ჩვენ ყურათღებას, რათგან ახალი ჯგუფის სამოქმედოთ გამოსვლას ჩვენში იგი გულწრფელათ უმღეროდა და მის სურვილებს და იმედებს მთელი თვისი წმიდა არსებით შეტრფოდა და შენატრიდა. ამ წრეში იგი ერთადერთი, პირველი მებძოლი პოეტიც იყო, რომელსაც შემდეგში მოყვა საკმაოთ ნიჭიერი პოეტები: ვ. რუხაძე, ს. აბაშელი, გალაკტიონ ტაბიძე, ობოლი მუშა, ნ. ჩხიკვაძე, მინა რაჭველი, ი. სიხარულიძე და სხ...

ირაკლიონ ევდოშვილის ლექსები მოუწოდებდა ქართველ დემოკრატიას შეერთებისა და შეკავშირებისკენ, უთითებდა მას უსამართლობისა და სოციალურ უსწორ-მასწორობის შესაბძოლებლათ:

„მეგობრებო, წინ... წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული,
დე, მკერდს სისხლის დალი აჩდეს
და შუბლს ოფლის ნაკადული!..“

ეროდიონი იყო გულმაგარი, მდიდარი ქიზიყის შვილი, რომელმაც ბძოლაში დრეკა და ლაჩარივით ქედის მოხრა არ იცის. და პოეტიც თავის გამწარებულ ცხოვრებაში ერთხელაც არ ჩაკეცილა მონურათ, ქართველ მშრომელ ხალხს გვერდში უდგა და იმას ამხნევებდა, უმღეროდა სევდიანის და ჩაფიქრებულის ხმებით. დაუდეგარი იყო ამ კაცის ცხოვრება... ტიალმა ცხოვრებამ წელში გაწყვიტა ეს სიმპატიური, გძნობიერი ადამიანი და შავს, ცივს სამარეში თან ჩაიტანა ბევრი კარგი იმედები და სურვილები...

ეროდიონი იყო სოფლის მთავრის, ისაკ ხოსიტაშვილის შვილი. იგი დაიბადა სოფ. ბოდბისხევში, სიღნაღ. მაზ., 1873 წ. ევდოშვილათ იწოდებოდა დედის სახსოვრათ, რომელსაც ევდო (ევდოკიმე) ერქვა. სწავლა ძმამ დაიწყებინა, პირველ დაწყებითი სწავლა მიიღო სიღნაღის საქალაქო სასწავლებელში. 1887 წელს თელავის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, სადაც კურსი გაათავა 1891 წელს და იმავე დროს თფ. სას. სემინარიაში შევიდა. მარა კურსი ვერ დაასრულა: მესამე კლასიდან დაითხოვეს, ნებადაურთველ წიგნების კითხვის გამო. 1895 წ. „ვოლნოაპრედელიაიუშჩათ“ შევიდა, შემდეგ წელს პრაპორშჩიკობა მიიღო და სამსახურიდანაც გამოვიდა.

მწერლობის სიყვარული პატარობიდანვე გაეღვიძა გულში და გატაცებით დაეწაფა სამშობლო მწერლობას, — (სხვათა შორის მასზე დიდი გავლენა მოახდინა „ნობათში“ ამოკითხულმა მოთხრობა-ლექსებმა). მწერლობა სემინარიაშივე დაიწყო და 1893 წ. „კვალში“ დაბეჭდა თვისი პირველი ლექსი „გუბე“, რომელიც თითქმის ქვაკუთხედათ დაედვა მისი პირველი ხნის სამწერლო მიმართულებას.

ამის შემდეგ, იგი თანამშრომლობდა სხვადა სხვა ჟურნალ-გაზეთებში — წერდა ლექსებს, ფელეტონებს (რიგოლეტოს და სხ. ფსევდონიმით) და სხ. 1897 წ. ბაქოში მსახურებდა „ნობელის კანტორაში“, შემდეგ მაჩხაანის დეპოში. დაახლოებით 1899 წ. „ივერიის“ რედაქციაში დაიწყო მუდმივი თანამშრომლობა და ამავე ხანებში ქართულ სცენაზეც სცადა ბედი, — ვგონებ, კასიოს როლი შეასრულა, ქებითაც მოიხსენეს, მარა მალე დარწმუნდა, რომ მისი მოწოდება სცენა არ იყო.

„კვალის“ გამოცემას რო ნოე ჟორდანია ჩაუდგა სათავეში, ეროდიონი „კვალის“ მუდმივი თანამშრომელი შეიქნა. შემდეგ (1900—1903) თითქმის „კვალის“ ერთად ერთი ხელმძღვანელი იყო.

რუს-იაპონიის ომის დროს, 1894 წ. სამსახურში გაიწვიეს, მარა 1905 წ. ისევე გამოვიდა.

1908 წ. საადგილ-მამულო ბანკში მსახურობდა. 1909 წ. დაიჭირეს, ათი თვე მეტეხის ციხეში ამყოფეს და, შემდეგ, ვოლოგდის გუბერნიაში გადაასახლეს, ქ. სელვიჩეგოროდში. ავათმყოფობის გამო, ასტრახანს გადაიყვანეს, ქ. ჩორნიიარში. 1913 წ. სამშობლოში დაბრუნდა, დასნეულებული. ქართველმა საზოგადოებამ ბეჯითი ყურათღება მიაქცია და შესაფერი მზრუნველობაც აღმოუჩინა მას. მარა საზარელ სენს — ჭლექს ველარ გამოსტაცეს ხელიდან.

პოეტს დარჩა მეუღლე და ოთხი წვრილი შვილი — ერთი ვაჟი და სამი ქალი, თითქმის ყოველ გვარ სახსარს მოკლებული...

მიცვალებული იმ დღესვე, რა დღესაც გარდაიცვალა, გადმოასვენეს ქაშვეთის ტაძარში და დაკრძალეს 8 მაისს დიდუბეში.

კვირას, დილის 9 საათიდან ქაშვეთის ტაძარს დიდძალი ხალხი მოაწყდა. განსვენებული მგოსნის ცხედარი ყვავილებით იყო შემკული. ნაწირვებს, 12 საათზე, ძვირფასი ცხედარი საყდრიდან გამოასვენეს და გაიჩერეს საყდრის გალავანში. აქ მკურნალმა ივ. გომართელმა და ონის ებრაელთა რაბინმა, დავით ბაადზოვმა სიტყვები წარმოთქვეს. შემდეგ, სამგლოვიარო პროცესია გაემართა გოლოვინის პროსპექტით. მგოსნის ცხედარი დიდუბის ეკლესიამდი სულ ხელით მიქონდათ ქართველ მგოსნებს, საზოგადო მოღვაწეებსა და განსვენებულის ახლო მეგობრებს. სახალხო სახლთან მგოსანს სიტყვა უთხრა სოხუმის ქალაქის მოურავმა, ნიკო თავდგირიძემ. შემდეგ, კიდევ სიტყვები წარმოთქვეს მუშების წარმომადგენლებმა და რამდენიმე კერძო პირმა. ნაშვადღევის ოთხის ნახევარზე მგოსნის ცხედარი დიდუბის საყდარში მიასვენეს, წესრიგი შვენივრათ იყო დაცული. მცირე პანაშვიდისა და სიტყვის შემდეგ, ძვირფასი მგოსნის ცხედარი სამუდამოთ მიაბარეს სამშობლო მიწას.

ᲡᲘᲣᲠᲛᲘᲡ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ.

(ესკიზი).

ტალღა ტალღას სცემს, წყალს ახმაურებს... ეს რიონია. რიონი, ჩვენი ტკბილი დედა-სამშობლოს ძუძუ. მირბის, მიექანება, ნელის ხმით ჩაჩურჩულებს გამწვანებულ მიდამოებს, უმღერის ძველს დიდებას და დასტირის მშობელი ხალხის აწმყო უბადრუკობას. აქა-იქ გაშლილ საიმედოს შეყურებს იგი და საამტკბილო ძლისპირით იმშვიდებს გულს.

სამხრეთ-დასავლეთით აჭარა—ახალციხის მთები მედიდურათ ამართულან ზეცისკენ და თეთრი ფუნთუშა თოვლით შემოსილნი მდუმარებენ. მდუმარებენ და ალერსით შეცქერიან აქით საქრისტიანოს და იქით სამამადიანო ქართველობას. არც იქით, არც აქით აწმყო არას წარმოადგენს გულის სალხინოს-სამხიარულოს.. მხოლოთ დიდებული მნათობი თვისი ცქრიალა განმანათლებელ-გამათფობელ შუქებით აბწყინებს ფუნთუშა თოვლს, რომელიც საუცხოო ქსოვილებით ჩახუტებია მთებს.

აგერ, ჩემ თვალწინ გადაშლილ-გამწვანებულ აყვაკილებულა ძველი სავანე-მწვანე ყვავილა. თვალის წარმტაცის სიტურფით შემკობილს, მას ჩაუმარხავს თვის გულში ძველათ საუკეთესო იმერთ შვილები ს თვისის მწვანე და ათასნაირი ფერადი ყვავილებით ქებათა-ქებას და სულთათანას დამღერის...

სხვა მრავალთა შორის, ჩემი ძვირფასთა ნაშთებიც აქ მარხია... სდუმან ისინიც და მეც მწარე დუმილსა მგვრიან. დუმილი—კი მრავალის მოგონებით ავსებს ჩემს შეხსიერებას და მეც ძლიერი და უნაზესი მოგონებებით შებოჭვილი ვნეტარობ. აგერ, ჩემი სიყრმე, როცა ტიტველის ფეხებით და თავშიშველი დავრბოდი ამ ბუნებით მდიდარ მიდამოებში და ვეალერსებოდი მწვანეს, ყვავილებს, ხეხილს, ჩიტებსა და ფერად პეპლებს... აგერ, ხევში მოქრიალე ნიავი ყურში ტკბილ ჰანგებს ჩამჩურჩულებს და საამურის გალობით სულსა და გულს მინათლებს. აგერ, დედის ტკბილი ნანინა და მისი ლამაზი, თლილი თითების ჩემს ქოჩორში უნეტარესი ფათური... ოხ, ნეტარებავ! სადა ხარ, ხად? რად წახვედი, რად დამაგდე ასე ობოლ-უმწეოთ?!.

ზევიდან, საამო-საუცხოოთ მოკაზმული სპეტაკი სამშობლოს ზურგი-მთები,—რაღაცას დიდს, დიდს მომავალზე ჰიმნს მიმღერიან. დიახ, მიმღერიან. მე მესმის ეს სიმღერა, რომელსაც მივყავარ საიმედო მომავალისკენ... იქით, სადაც იჭედება მშობელი ხალხის ბედი და იღბალი. სადაც მომავალი ახალგაზდა საქართველო გაბწყინვებულ -განათლებული და ძლიერი კულტურით შემოსილი მაღალის ხმით ამღერდება ახმაურდება და სოფლიოს მიაწვდის თვის ტკბილ-სანეტარო ძლისპირს, რომელშიაც ის გამოხატავს თვის ძლიერებას, სიტურფეს და მხნეობას, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას...

აგერ, კავკასის გმირთა-გმირი-ამირანიც თავისუფლათ დაფრიალებს, ხოლო მისი ბორკილ-ჯაჭვები დამსხვრეულ—დამტვრეული მუზეუმის ერთ-ერთ ყუთში განისვენებს ასეთი წარწერით:

„ჯერ მწარე სჭამე, კვლავ ტკბილი,
თუ ეძებ გემოვნებასო“...

შრომა, მხნეობა, გამრჯელობა და გამჭრიახობა მჭიდროთ დამყარებულა მშობლიურ ხალხში... არსადცრემლი, არსით ტირილი; არსით შიმშილი, არსით ობოლი; არსით ძალ-მომრეობა და არსით ჩაგვრა; არსით შური და არსით მტრობა... საყვარული, სათნოება, ძმობა, ერთობა, თავისუფლება!..

აი, რას მიმღეროდენ სამშობლოს მთები სიყრმეში. და დღესაც ჭაღარითშემოსილს, იგივე ხმები მეწვეთებიან ყურში და დღიურის ჭირ-ვარამით გაწვრილებულ გულს სიამის და ნეტარების ხმებით მივსებენ.

ივანე ელიაშვილი.

13 აპ. 1916 წ.

ᲭᲝᲛᲐ.

ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ.*)

(დასასრული.)

ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ.

I.

მთებს გაეკრა ჩამავალ მზის
მოციალე სხივთა ზოლი;
ჟღერს ფოთოლი ტირიფისა

*) იხ. „ცხოვრება“, № 8.

სიოს ქროლვით ანათრთოლი;
ხავერდოვან მდელოს მკერდზე
ყვავილები თავსა ხრიან,
და მერცხალნი ფთა-გაშლილნი
ელვასაებ სწრაფათ ქრიან...

ვარდო ობლათ დასეირნობს,
კაეშანი გულს უმწარებს,
და საღამოს, წყნარს, საამურს
გულის დარდებს უზიარებს:—

„ჩემო მხსნელო,
სულის შვებავ,
მზევ ნათელო,
სასოებავ!
დღე-ღამ სული
შენსკენ ილტვის...
დნება გული,
იწვის, იწვის...
შენ მაჩუქე
ქალწულობა,
გამიშუქე
ტრფობით გძნობა;
ᲙᲐ მყის სულში
ჩაგიქსოვე..
ამ ჯურღმულში
რათ დამტოვე?!
გეძებ... გიმღერ...
ცრემლის გუბე,
ჩემო, ბევრჯერ
დავაგუბე...
გენაცვალე,
გულის ვარდო,
შემიბრალე,
შენი ვარდო!..
მე აქ ვტირი
გულის მკვლელათ;
შენ, ვით მწირი,
დახვალ ველათ...
გენაცვალე,
გულის ვარდო,
შეიბრალე,
შენი ვარდო!“..

11.

მიდის ვარდო ტირიფთ შორის,
ფიქრით სატრფოს თავს ევლება;
ენატრება გულ-მღელვარეს
მისი ნახვა, მისი ხლება.
უცეფ შეკრთა... დაიხია,
მოჩვენებას ადარებდა,
ტურფა სახე გაუფითრდა,
ფოთოლივით კანკალებდა...
ხედავს: ველზე წევს ჭაბუკი
უმოძრაო, ფერ-გამკრთალი...
დააკვირდა... იცნო შალვა,
გულს მოედო ტანჯვის ალი;
დაიკვნესა... გადმოღვარა
ცხარე ცრემლის ნაკადული;
სწრაფათ მისკენ გაეშურა...
ველი ნახა სისხლით რწყული...
შედგა ვარდო, შეტორტმანდა,
შეუღონდა ბედ-შავს გული;
ყვავილივით ირხეოდა
ძრწოლა-შიშით გამსჭვალული...
მარა მალე გონს მოვიდა...
მიირბინა, დაიხარა...
იგძნო მისი ძნელი სუნთქვა,
აფრთოვანდა, გაიხარა.
ეამბორა მის ხუჭუჭ თმას,
დაუკოცნა შუბლი წყნარათ:
წუთით ნორჩ გულს გადეფინა
სიყვარული სევდის ფარათ.
მარა მალე გაქრა შვება
ელვასაებ მონაქროლი:
თვალწინ უდგა შეშფოთებულს
შალვას მკერდზე სისხლის ზოლი...
კრძალვით შუბლზე გადაუსვა
აბრეშუმის მან მანდილი,-
„გაიღვიძე, გონზე მოდი“...
ეძახოდა ხმა ნაზ-ტკბილი...
ᲙᲐ ანაზდეთ შეკრთა შალვა,
გაიხილა ფართედ თვალი...
უცეფ ზეზე წამოვარდა,
თითქო სწვავდა ცეცხლის ალი;
სახე ტანჯვით ულელავდა,
ეცვლებოდა ხშირათ ფერი...

ხოლო ვარდო კრთოდა, თრთოდა,
ვითა სიმი ანაჟღერი...
ჰა, შალიკო კვლავ დაეშვა,
გულის მკვლელათ დაიკვნესა...
უცეფ, ვარდოს თვალი მოკრა,
დაამტერდა სხივ-მფენ მზესა...
უცქერდა ტ ვერ გაეგო,
ცხადი იყო, თუ სიზმარი;
ვერც რამ ეთქვა გულ მწუხარეს,
თუმცა სურდა საუბარი...
ვარდო ნაზათ დაიხარა,
მთრთოლვარე ხმით ეუბნება:—
„ჩემო შალვა, ნუ ღელავხარ,
გემატება მითი ვნება.
მოისვენე... მითხარ, მითხარ,
რით მოგფინო, გულო, შვება?
მზათ ვარ მყისვე შეეუსრულო,
რაც ჩემს შალვას ეამება“...

შალვა.

ვინ ხარ, ტურფავ, სიკვდილის ჟამს,
ანგელოზათ მოფრენილი?

ვარდო.

მე ვარდო ვარ, ვისაც, მხსნელო,
აარიდე შენ სიკვდილი,
დაიხსენი შავ ბნელთაგან,
გადურჩინე დედა ტკბილი...
ვინაც მარათ ნაზ ოცნებით
თავს დაგქროდა ფთა-გაშლილი;
ვისაც შენი ტრფობით, ჩემო,
გაკრთობია ღამე ძილი;
ვისაც შენი თვალის შუქი
სამარადოთ სულს უნათებს;
ვისაც შენი მოგონება
სიყვარულის ცეცხლით ანთებს;
ვინაც ხშირაო სევდის ჰანგზე
გიმღეროდა ტკბილ სიმღერას;
ვინაც ბევრჯელ დაუთუთქავს,
გულო, შორით შენსა მზერას;
ვისაც ბევრჯელ შენი ნატვრით
დაუღვრია ცრემლი ცხარე;
ვინც უშენოთ ობლათ იყო,
გულს უკლავდა სევდა მწარე;
ვინც უშენოთ ვერ იცოცხლებს,
შენ გეკუთვნის, გულის ვარდო,
ვინც შეგეტკბო, შეგეთვისა,
ის ვარდო ვარ, შენი ვარდო!“

შალვა თითქო ყურს უგდებდა
ციურ დასთა ტკბილ გალობას,
შვების ქსელში გაეხვია
ზე აღმაფრენ ძლიერ გძნობას:
იცნო იგი, ვისიც ტრფობა
გულში ქონდა ჩამარხული,
ვინაც, პირველ ნახვის შემდეგ,
დაიმონა მისი გული.
და ეტყოდა:„ სიკვდილის ჟამს,
ციურ შვებათ მოვლენილო,
ანგელოზო გულით სათნოვ,
ცისკრის ვარდო, სხივ-მოსილო,
მოუსმინე ეულ დევნილს
ტანჯულ გულის აღსარება,
რათგან მალე, მიწის შვილი,
ისევ მიწას ჩაბარდება:—
პირველსავე ნახვის შემდეგ,
შენ ჩემ სულში ჩაიჭერი,
გაიშალე, როგორც ვარდი,
როგორც სხივი მრავალფერი;
ტ დაიპყრე ჩემი გული,
სიყვარულით აგზნებული,—
დღეს კი... დღეს კი, ჩემო კარგო,
მტრისა ტყვიით განგმირული!..
მე-კი მაინც გავურბოდი
შენს სხივათ-შლილ ღვთიურ სახეს.
გავურბოდი შენს აჩრდილსა,
გავურბოდი ტრფობის მახეს.
გავურბოდი, რათგან ვიყავ
უბინაო ტ დევნილი,
რათგან, გულო, ბძოლის ველზე
მომელოდა მე სიკვდილი...
მარა კაცი თავის გულსა,
აბა, როგორ გაექცევა?
სადაც წავა, თან გაყვება,
ვერ გაასწრებს, დაეწევა!
ტ მეც ხშირათ ტყის სიღრმეში
მარტოთ შენზე ვოცნებობდი;
ვიგონებდი შენს შეხვედრას,
გულის კვნესით შენ გეტრფოდი;
გულის კვნესით, რათგან დევნილს

არ შეეძლო შენი ტრფობა,
გულში უნდა ჩამემარხა
სიყვარულის ნაზი გძნობა!
ჰ, ოჰ, დღეს-კი, როცა მალე
გამითხრიან საფლავს შავსა,
ანგელოზათ მომევლინე
დევნილს, ობლათ მომაკვდავსა...

ვარდო.

ოჰ, ნუ ამბობ, ნუ გენაცვა,
ე მაგ სიტყვებს საშინელსა!
შეიბრალე შენი ვარდო...
ვერა მხედავ ცრემლის მღვრელსა?
მე უშენოთ, რა უნდა ვქნა?...
ოჰ, რათ კრთები? რა მოვიდა?

შალვა.

ეჰ, რა ვიცი... გულში თითქო
ტანჯვის ალი გამიღვივდა...
გულს მისერავს, ცეცხლს მიკიდებს,
რაღაც მწარე, მწარე გძნობა...
ეჰ, რა მალე ჭკნება, ქრება
უნაყოფოთ ჩემი ყრმობა...
მე მწამდა, რო ჩემი ბძოლით
ვუპოვიდი ჩაგრულთ შვებას;
შევტრფოდი ჰ შევხაროდი
შავ-ბნელ ძალის დამარცხებას.
ჰ დღეს, ტურფავ, ისე ვკვდები,
ვერ ვიხილე ნატვრის ჩდილი...
ბძოლის ველზე ობლათ ყრია
მეგობრები სისხლ-დაცლილი!..
ვაჰმე, ჩემო ტკბილო ძმებო!
თქვენ სადა ხართ! მე სად ვკვდები!
მარა მტერი ტყვილა ხარობს:
ჩვენს ალაგას მოვლენ სხვები!...
შენ-კი, ვარდო, ოჰ, რა გითხრა?..
ნუთუ ჩემი სიყვარული
შენც უდროოთ დაგაობლებს?..
შენც დაგტანჯავს?!.. უჰ, უჰ, გული!"
თლად გაფითრდა შალვას სახე...
ჩაუვარდა ბედ შავს ენა...
ეამბორა ვარდოს ხელს ჰ...
სამუდამოთ მოისვენა...

III.

... ჰ გაქვავდა ტანჯვით ვარდო...
მან სიკვდილის იგძნო სუნთქვა;
გულს ეხვევა თითქო გველი...
აღარ ძალუძს ბედ-შავს სულთქმა.
ჰ დასცქერის შალვას სახეს...
ჰა, შეინძრა, მოსთქვამს... ტირის...
ჰ გაისმის ველათ კვნესა
ობლათ შთენილ, განაწირის...
ჰა, გაშეშდა... იგი თითქო
ბნელ უფსკრულში ეშვებოდა,
თითქო ვარდი დამზრალ-მჭკნარი
ზღვის გიჟ ტალღებს მიყვებოდა,
თითქო იას თოვლის კუბო—
ყინვა მკაცრი ყლორტს უზრობდა,—
დაობლებულ გულის კვნესით
ჰ ცრემლთ ფრქვევით ბუტბუ
ტობდა:—

„ჩემო ნორჩო სიცოცხლევ,
ასე მალე რად გაქრი?
სად დამაგდე, გულის მზევ?
საით წახველ, სადა ქრი?...
ჩაქრა ჩემი ვარსკვლავი,
ჩემი მზე ჰ თვარეცა!
სასიკვდილო მახვილი
გულზე მწვავეთ დამეცა!..
უმეგობრომ ცრემლის ტბა
სანამ უნდა ვაგუბო?
ჯობს, სულ კვნესას-დავიდგა
სატრფოს გვერდით მე კუბო!"

შეკრთა ვარდო... მოსწყდა ღაწვებს
მოციმციმე ცრემლის მძივი;
დააშტერა არეს თვალი,
ტანჯვის ცეცხლით განაღვივი:—
„ოხ, რა ტურფა ბაღი იყავ,
მშობელ ქვეყნის არე-მარევ!
ოხ, რა ნათლად ციმციმებდით,
მშობელ ქვეყნის მზე ჰ თვარევ!
დღეს-კი ჩემთვის ბნელა-ბნელა!
დაობლებულს სიკვდილი მხვევს
თვის წიაღში ნელა ნელა...
ჩემო შალვა, სულის სულო,
ბოროტ მტერთგან განწირულო,
ჩემო მხსნელო, მზევ ნათელო,
ჩემო წრფელო სიყვარულო,
ჰა, მეც შენებ სისხლთ-ნაკადით
წითლად მოვრწყავ მწვანე ველსა,

სიცოცხლეში მიუწდომელს
ჩაგეხვევი საყვარელსა“...
... ტყვიით გული გაიგმირა...
ძირს დაეცა ვარდის კონა...
თავის შალვას გაცივებულს
სამუდამოთ ჩაეკონა...
. . . . . .

—

თავი მეექვსე.

სასაფლავოს მიდუმებულს
სევდის სიო გარს ევლება;
თვარის სხივი დაქათქათებს...
შავი ჯვრები ოდნავ ჩდება...
ერთ ხის ჯვართან დგას გიორგი,
გულ-მწუხარე, ანატირი;
თვალწინ უდგას მეგობრები,
ბოროტ მტერთგან განაწირი...
ამბობს: „ძმებო, შავ სიკვდილსა
კაცმა როგორ დაემონოს,
თავის ნებით უიმედომ
გულს ისარი გაიწონოს,
თორე ამ ჩემს ობლობასა
ჯობს გავიჭრა მეც სამარე,
თქვენთან ერთად დავიმარხო,
ავირიდო სევდა მწარე.
მარა სიკვდილს ვინ წაუვა?
დრო დადგება-მეც გამაქროს!
გაზაფხული შლის კოკობ ვარდს,
ზამთარი-კი ყინავს, აზრობს...
ცხოვრების შვილს ბძოლის დროშა
მარად უნდა ხელთ ეჭიროს, —
მონურ ყოფნას შეებძოლოს,
თუ გაწირავს, დე გაწიროს!
ბ მეც მივალ, ტკბილო ძმებო!
მშრომელთ კერას ვუბრუნდები;
იქა ღვივა ბძოლის ცეცხლი,
იქ ვიშვი ბ იქ მოვკვდები!
ეჰ, ვიცი, რო მტრების ქსელში
იქ ადვილათ გავებმები;
მარა მაინც გული მიწვევს,
მაინც მივალ, არ შევდრკები!
მივალ, სადაც გრდემლის ზანზარს
უერთდება მაშვრალთ კვნესა;
სადაც ოფლის ზღვასა ღვრიან,
შენატრიან ნათელ მზესა;
სადაც შრომის მფეთქავ ალში
ბძოლის ხმალი იჭედება;
საც ფესვს იდგამს სიყვარული —
შრომის შვილის ხსნა ბ შვება!..
ეჰ, მშვიდობით, ჩემო შალვა!
ჩემო ტკბილო, მეგობარო!
შენმა გოგიმ გულის ფიქრი
აწი ვის-ღა მივაბარო?!
თქვენც მშვიდობით, ძმად ნაფიცნო,
სამარადოთ სახსოვარნო!
მოვალისთვის განწირულნო,
მისო გმირნო, წინაპარნო!“.
... მიდის გოგი... ველ-მიდორ-ტყეს
სალამს უძღვნის, ეთხოვება...
პირ-ბადრ თვარის მკრთალი შუქი
გზას უნათებს, წინ უძღვება...

დასასრული.

ქ. ც. 1915 წ.

—

უძილო ღამე.

უძილოთ განვლე მე მთელი ღამე, ვკვნესოდი, ღამის ჭოტს დავედარე,
დავძრწოდი... ღამეს რო ეთქვა რამე, ბევრი ვეხვეწე და ვემუდარე...
მსურდა გამეგო, თუ რას მეტყოდა ძილათ წასული მთა-ბარი, არე,
მარა სურვილებს ეჭვი მიქრობდა... ოოხ! რამდენი ცრემლი დავღვარე!..

—

დღიურ ვარამით გარემოცულმა ყოფნის მიზანი დღისით ვერ ვპოვე..
მარა ვერც ღამით ახსნა ის სულმა, ღამეს ვერ ჩავწვდი, ვერ ჩავექსოვე...
გულს აღარ მიხსნის ზვიადი, ბნელი, რა ვქნა, დუმილით მიმასპინძლდება,
იდუმალობის ეფსკრულ-ქვესკნელი ვერ გავარღვიე.. ჰა, ცა წითლდება..

— —

თენდება კიდეც... დავკარგე ძილი... მარა არც ძილში მაქვს მოსვენება,
და მოქანცული, სასომიხდილი ვგდივარ და გული იჭვებში ჭკნება.

ი. სიხარულიძე.

„მაშ, გაფრინდი ბუნების ლაღო, გაფრინდი!!..“

(ესკიზი არეულობის ხანიდან)

დაქროდა გაზაფხულის დაუდგრომელი ლაღი ნიავი, ისმენდა მოთხრობებს: წყლისას, მიდვრის ყვავილისას, ტყისას და ხმაურობდა, ხმაურობდა ყველაფერზე, რასაც ხედავდა, რასაც ისმენდა მღელვარე სამყაროში და სულ ქრიალებდა. ქრიალობდა ივი, სანამ არ მიფრინდა იმ ბუნებით შემკულ მხარეს, სადაც ყვავის ბედნიერება, სად მთელი არე ვარდ-ყვავილებით მოფენილია, სადაც ზურმუხტათ ჩირგვ—ბუჩქნარი გადაშლილია და ამწვანებულ კორდთა შვა ჩხრიალ- ლუკლუკით მოხტის ნაკადი და სიცოცხლეს გვრის მთელ არე—მარეს. იგი დაუსრულებლათ კოცნის და რწყავს ამ სურნელებით შემკულ კორდებს, რომელნიც აღტაცებით ჩაცქერიან მის სარკესავით მოელვარე გულს და შეფოფინებენ შიგ ჩახატულ ბუნების სურათს... ამ ტურფა მხარეს მედიდურათ ამართელიყო დიდი ცაცხვი, რომლის ტოტთა შორის იცქირებოდა მოღუშული გამოქვაბული კლდე, სუროთი და ხავსით შესულრული.

ნიავმა ცოტა შეისვენა ამ მიდამოში. შემდეგ, კვლავ დაისისინა, ააშრიალა ულრანი ტყე და წაფურჩულა მას საიდუმლო. მარა ნიავსა და ტყეს ერთმანეთ შორის საიდუმლო არ აქვთ. ისინი მეგობრები არიან. ნიავი კიდიდან კიდემდი გაიფრენს, გაისრიალებს და უამბობს მას ყველაფერს, რასაც ნახავს, ან რასაც ისმენს მღელვარე სამყაროში. ეხვევიან ერთმანეთს მთვარიან ღამეში, მკინარე მაისის დღეში, ღრუბლით მოღუშულ შემოდგომის საღამოებზე ლ აქვთ ერთი დაუსრულებელი მეგობრული ბაასი...

ნიავი დაქროდა ამ მიდამოს, როდესაც მზე ემშვიდობებოდა მთელ სამყაროს და უკანასკნელ სხივებს უხვათ ტყორცნიდა ბებერი ცაცხვის კენწეროს. მარა ის არ არღვევდა ამ კეკლუცა მაისის საღამოს მყუდროებას, ის არ გავდა იმ გრიგალ ქარს, რომელიც გრგვინავს, ღრიალებს და ანადგურებს ყველაფერს. ეს იყო ნელი სიო, რომელიც სიცოცხლეს გვრის ყოველს არსებას. იგი დაფრინავდა, აგროვებდა მართალ ამბებს, ზღაპრებს, ტყის მელოდიურ სიმღერებს, მის კვნესას, ზიმედების ნაპერწკლებს, ტანჯვის ცეცხლს, აიტაცებდა მაღლა, ცისკენ მიაქროლებდა უსაზღვრო სივრცეში და აბარებდა ადამიანთა გულს და მეხსიერებას...

—სსსს!. გამარჯვება, გამარჯვება თქვენი!. აღტაცებით დაიხმაურა მან.

—შშშ!!!. გაგიმარჯოს, დაუდგრომელო ბუნების ლაღო, გაგიმარჯოს!.— აშრიალდა ულრანი ტყე საამურათ, და შეფრინდა შიგ ნიავი აღტაცებული, აღელვებული. მან გაისრიალა დაბალ ბუჩქებში, შემოეხვია იგი დიდრონ ხეებს, ბებერ ცაცხვს და დაუწყო დაუსრულებელი კოცნა...

-- როგორა ცხოვრობთ. ქრიალებდა ნიავი. რა ნახეთ ჩემი აქ ყოფნის შემდეგ, რა გაიგონეთ? რა ხდებოდა თქვენ გარშემო, რა კეთდებოდა?.

—ჩვენ შორის მოხდა შემზარავი საქმე, სამწუხარო და თავში საცემი,-- დაიხმაურა ბებერმა ცაცხვმა.

—აი, ჩემ ტოტებ ქვეშ იმალება ის საიდუმლოება,—ამოიძახა იასამანის ბუჩქმა,- ამ ამაღლებულ მიწაში; მხოლოთ მე ვაყრი სურნელოვან ყვავილებს და ღამით ბულბული უსტვენს ჰიმნს, ჩემ ტოტზე შემომჯდარი.

—რა მოხდა? რა მოხდა აქ?!. რაღაც არა ჩვეულებრივი მომხდარა!. მე მომდის სისხლის სუნი! ოჰ, დიდხანს არ კარგავს მიწა თვის შვილთა სისხლის სუნს!- მე მესმის კვნესა!.. მითხარით, გეთაყვა, მითხარით!..

ხეები მდუმარებდენ.. მხოლოთ ფოთლებმა შექნეს ძიგძიგი. ნიავმა შემოხვია ბებერ ცაცხვს მკლავები, რომელმაც ყრუთ დაიშრიალა:- ეს საფლავია... საფლავი დავიწყებული, რომლის საიდუმლოებაც მხოლოთ ჩვენ ვიცით... მომიგდე ყური, ბუნების ლაღო, ერთათ-ერთო თავისუფალო მთელ სამყაროში,...

..... ეს — დიდი ხანი არ არი, რაც მოხდა. წყალ-თოვა ახსამდა დედა-მიწას, ქ-რი საზარლათ გმინავდა და ყველაფერი ცახცახებდა

სიცივისგან. უცბათ, თოფის ხშირი სროლა შემომესმა... ხმა თან-და-თან ახლოვდებოდა... ბოლოს, ორი დაფეთებული ადამიანი შემოიჭრა ტყეში. მათ მიაშურეს, აი, იმ კლდეს და შიგ მიიმალენ. დიდხანს კარში არ გამოსულან, მხოლოთ კარებიდან-კი ხშირათ იხედებოდენ. ტანთ ეცვათ სისხლივით წითელი ტანსაცმელი და მხრებზე ჯვარედინათ ქონდათ ტყვიები დაყოლებული... გავიდა ხანი... ისინი მუდმივ სტუმრათ გადაგვექცენ. ღამღამობით მიდიოდენ სადღაც და ღამითვე ბრუნდებოდენ. ამ ყოფაში გაატარეს ზამთრის დღეები... დადგა გაზაფხულის უკანასკნელი თვეც და ერთ შვენიერ დღეს, როგორც ახლაა, ამ ტყეს ესტუმრა ორი არსება. მე აღტაცებით დავუწყე თვალიერება, თითქმის ძალზე გამოცვლილიყვენ. რამდენიმე წლის წინათ, ისინი მუდმივი სტუმრები იყვენ ჩემი;—ძალზე დამეგობრებულები ვიყავით. მრავალი სახსოვარი დრო გაუტარებიათ ჩემ დაჩდილულ ტოტებ ქვეშ...დანავარდობდენ მწვანე მდელოზე, შეტრფოდენ მზის ცხოველ სხივებს, იტკბობდენ სმენას ბულბულთა სტვენით და თვრებოდენ ვარდ-ყვავილთა სურნელებით...

მის შემდეგ, რამდენიმე წელმა გადავლო და თითქმის ამოშალა ჩემ გულში მათი ხსოვნა. მარა ეს ასოები, რომელნიც ჩემ ძირზეა ამოჭრილი, თან-თან იზდებოდენ, ფართოვდებოდენ და მაგონებდენ იმ დიად წუთს, როდესაც ისინი პირველათ ეფიცებოდენ ერთმანეთს სიყვარულს ღა, რომ უფრო ფართოთ აღბეჭდოდათ ეს ნეტარი წუთი, ჩემ ძირზე ამოჭრეს თვისი გვარი და სახელი, ნიშნათ უმანკო სიყვარულისა...

მეც პირველ დანახვისთანვე დავუწყე აღტაცებით ცქერა. მარა ისინი უწინდელი ხალისიანები აღარ გამოდგენ. მათვის უგვანო ცხოვრებას დაეჩნია თვისი დაღი. კაცს შუბლი დანაოჭებოდა და ძალზე დაღვრემილი იცქირებოდა. ქალიც თუმცა მოწყენილი იყო, მარა მაინც გამაგიჟებლათ ანათებდა მისი თეთრ-წითელი ლოყები, და ლალის ფერი ტუჩები მის დაუკოთხავათ იღიმებოდენ. მოვიდენ და დასხდენ ჩემს ძირში... დიდხანს მდუმარებდენ და, ბოლოს, ქალმა დაარღვია სიჩუმე.

— ნუ ჯავრობ, ჩემო სიცოცხლევ! მარტო შენ ხომ არ გდევნიან!... მოიცა. მე ყოველ დილა აღრიან შენს გვერდით გავჩდები, ერთად დავტკბეთ სიცოცხლით ამ ბუნების წიაღში. მე შენ გიმღერებ და ჩვენ სიყვარულს გარს-შემორტყმული ბუნების სიკეკლუცე და სიშვენიერე დაამოწმებს. არ მოიწყინო, ჩემო ნუგეშო!.. ჩემო სიცოცხლე, ჩემო ღვთაებავ!.. აქ აღიბეჭდა ჩვენი პირველი სიყვარული და დეე, აქვე დავასრულოთ... იგი განა ღირსია კაცი ამ ბუნების წიაღში სიცოცხლეს?!..აქ,სადაც არც მონობა სუფევს და არც გაუტანლობა... განა ჩემი პატრონი უნდა ჯავრობდე?!.თუმც ბედმა გიმუხთლა, მარა სატრფო ხომ ერთგული გყავს!.. ტანჯვა და ცხოვრების ქენჯნა მან უნდა გამოცადოს, ვისაც იმედი, მიზანი და ყოველივე ცხოვრების სახსარი ერთ დღეს დაემსხვრევა. და შენ—კი, ვინ იცის, რაოდენი შემოგნატრებს ახლა, იცის, რაოდენი ტანჯული იღწვის და გულის მესაიდუმლეც ვერ უშოვია !—დაათავა ეს და ალერსით გადაეხვია; კაცსაც ცოტა შუბლი გაეხსნა, მოხვია ხელი და აღელვებულ გულში ჩაიკრა თვისი საუნჯე... დიდხანს იყვენ ასე, დიდხანს... მე აღტაცებით თავს დავცქეროდი და არ ვაკარებდი მზის ცხოველ სხივებს.. გარშემო—კი ყველაფერი სდუმდა, თითქოს ყოველი მცენარე და ფრინველი მას უცქეროდა აღტაცებით...

ამ დროს საზარლათ დაიჭექა მეხივით თოფმა.... მე გავცვიფრდი... ძირს დავხედე და კაცი სისხლში გორავდა, ქალი-კი ფეხზე წამოჭრილიყო და შეშლილივით თავს დაცქეროდა. კლდიდან გამოვიდა საჩქაროთ ის ორი ადამიანი და ქალი წივილ-კივილით შიგ შეათრიეს.

„ვის გამოგექეც და ვისი ხელით ვკვდებიო“, ამოიგმინა დაჭრილმა, რა გადაავლო მათ თვალი, და სამუდამოთ გამოეთხოვა ქვეყნიერობას. კლდიდან-კი ისმოდა ქალის წივილი... მე გაშტერებით კარებს ვუცქეროდი... ბოლოს, მავნე სულივით თმა გაწეწილი გამოვარდა ქალი, გულში ჩაეკრა მკვდარს და გულშემხუთავი სასოწარკვეთილი გმინვა აღმოხთა დაწყლულებულ გულიდან. ბოლოს, გვერდზე გადაბრუნდა.... დავხედე მკერდიდან სისხლი ამოსჩქეფდა!!. ერთი შეინძრა და სიცოცხლეს გამოესალმა ჯერ

დაუმტკბარი არსება. მე გონება დაბნეული ვუცქეროდი ამ სურათს....

გარშემო ყველაფერი სდუმდა. მარა უეცრათ ამოიგმინა ძლიერმა ქარმა, ცა ტყვიის ფერი ღრუბლებით დაიტვირთა, შეიქნა საზარელი ელვა, ჭექა-ქუხილი, დაუშვა კოკისპირული წვიმა და ეს გამაგიჟებელი მაისის დღე შეიცვალა საზარელ ჯოჯოხეთად. კლდიდან გამოვიდა ის ორი „ადამიანი.“ ერთმანეთს შეღიმოდენ. გათხარეს მიწა ამ თავსხმაში, ჩააწყეს შიგ თვისი მხეცური ჯინის სხვერპლნი და ისევ მიწა მიაყარეს. აი, იქ, სადაც ბევრი ყვავილები მოჩანს, იქ, სადაც განუწყვეტლივ კვნესენ ბულბულები, ღამე-კი ცეცხლის ალივით ამოვა ნათელი სვეტი და თავს ადგია, რომლის შიშითაც ვერაფერი ახლოს ვერ ეკარება, გარდა ბულბულებისა... მგელიც-კი, როდესაც უეცრათ მიაწყდება ხოლმე იმ ადგილს, დაფეთებული გარბის სადღაც. ის ორი „ადამიანი“ ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ, იმ დღის შემდეგ, არა ვიცირა... აი, ეს არის ამ საიდუმლო სავანის ისტორია.„ აქ აღიბეჭდა მათი სიყვარული და აქვე დასრულდა!“... ახლა-კი გასწი ერთად-ერთო, თავისუფალო ბუნების ლაღო, გასწი!!. გაიტაცე ეს საიდუმლო და უამბე ყოველ არსებას, თუ... რა მოხდა მაღლა, აყვავებულ მთის მწვერვალზე, გადიქეც მედგარ გრიგლათ, ჩამოუქროლე მთელ სამყაროს და წალეკე ადამიანთა შორის დათესილი დაუნდობლობა და გაუტანლობა... მაშ, გაფრინდი ბუნების ლაღო, გაფრინდი!!...

მაისი, 1912 წელი.

ჯანდაბა.

სიყვარულის სიყვარული.

ცის შვენებამ შემაძულა
შხამით სავსე ეს სოფელი;
ტანჯვის ცეცხლმა შემაყვარა
ტკბილ ოცნების სარეცელი.

უკუ ვაგდე სანამდვილე,
მიწის მკერდზე აზრთა რხევა,
უკუ ვაგდე ბნელ ბურუსში
სივალალე, ცრემლის ფრქვევა.
ცათ გავაბი ფიქრის ქსელი,
ფიქრის ქსელი უსუსური,
იქ ავწურე ჩემი ცრემლი,
მფეთქავ თვალთა მონაწური.
იქ გავფერე ციურ ცვარში
სულის სიმი, სულის ენა,
იქ გავფურჩქნე აზრი წმიდა,
იქ დაიწყო სულმა ფრენა.
იქ ავაგე მე ტაძარი,
მე ტაძარი სანეტარო:
იქა ვპოვე მოჩუხჩუხე
სიცოცხლის ტკბილ ნეკტრის წყარო.
ცის შვენებამ შემაძულა
შხამით სავსე ეს სოფელი;
ტანჯვის ცეცხლმა შემაყვარა
ტკბილ ოცნების სარეცელი.
ციურ წმიდა აზრთა ჩანჩქერს
შევუერთე ჩემი სული,
მზის ტალღებში გავახვიე
ხორცის ტანჯვა, ხორცის წყლული...
და იქ ვპოვე ცის ყვავილში
სიყვარულის მფეთქი ძალა;
მიწიერსა ზეცას ამაქვს
შხამით სავსე ეს ფიალა...
მსურს სოფლიოს სულის მეფე
მიწის ზღაპრით გავაკვირო,
სასო-კვეთილ მონის კვნესით
ცის შვენება ავატირო...
ეგებ, მაშინ აღიმართოს
ჯოჯოხეთში მისი ხმალი;
მონის კვნესამ წარმოშობოს
ბძოლის ცეცხლი, ბძოლის ალი.
ეგებ, მაშინ, ეგებ, მაშინ....
ფთა გაშალოს მონის სულმა,
ცა და მიწა ისატრფოოს
სიყვარულის სიყვარულმა.

მინა რაჭველი.

ცხოვრება მოკლე სიზმარია

ოდესღაც ერთ-ერთს გამოფენაზე ვიხილე ნახატი, რომელმაც უჩვეულოთ დამანაღვლიანა

და სამუდამოთ აღმისპო სალბუნება ტკბილ სასოების.

ტილოზე დახატული იყო საიდუმლოების სიმბოლო-სფინქსი. მისი პირადან შეუსვებლივ მოჩქეფდა წყალი და მარმარილოს ფირფიტზე წარწერილი სიტყვებით ღაღადებდა: Vita somnium breve, „ცხოვრება მოკლე სიზმარიაო.

მაგონდება ის ნახატი, მაგონდება ის სფინქსის პირიდან გადმონადენი წყალი და ახლაც ცხადათ მესმის მისი ჩქერა: ჩქარა... ჩქარა... ჩქარა... იცოცხლე... ინეტარე... ისარგებლე ყველა წუთი... ყოველი წამი... მიქრის დრო.. დრო მიქრის და თან მიაქვს სიცოცხლე გაუმეორებელი.

ასე მეჩიჩინება იგი და, ნაცვლათ იმისა, რო მივდიო მის ხმას... დავეწაფო ცხოვრების წყაროს... შევქნა, რაც შეიძლება, მხიბლავი განცდის ზღაპარი-მე მეშრიტება სურვილთა გზნება, მიბელთდება იმედოვნება და დაკოდილსავით გულ-აღმა უღონოთ მწოლიარე ვფიქრობ იმას, რო ცხოვრება მოკლე სიზმარია და, როდესაც შეწყდება იგი, „ჩვენ გავიღვიძებთ იმ ქვეყანაში, რომლის კარი-ბჭეზედაც ამოჭრილია სამი პატარა, მარა უუსაშინელესი სიტყვა: საუკუნეთა წყვდიადი და ამაოება.

ქ. „სარატოვი„.

14 მარტი 1916 წ. დ. თურდოსპირელი.

სამშობლოს.

თუ რო ბედით გიწერია
კვლავ აღდგენა, კვლავ დიდება,
თუ რო წელში გასწორდები,
თუ რო შენთვის გათენდება...

ამირანი, თუ ჯაჭვს დალეწს,
თუ მის ცეცხლი მოგედება,
შემიწირე, გვედრი, სხვერპლათ,
შენთვის არა დამშურდება.

გ. ალი.

ქ. ხარკოვი. 1916 წ.

ამ გაზაფხულს.

ჩვეულებრივ ამ გაზაფხულს,
ვერ ვირთვები, ვერ შევხარი;
ბევრი ხმები ჩამომძახის:
„ან-კი რაგაქვს გასახარი!...
ქვეყნის წყლულმა ჩემი გულიც
შეაკრთო და შეაშფოთა;
ირგვლივ მესმის გლოვის ხმები,
ვხედავ გვამებს მდუმარეთა...
მოჭიკჭიკე ფრინველთ შორის,
გაბატონდა დღეს ყარყატა.
ჩემი მოძმის ძვლებს დაათრევს,
მიწას ღებავს ალის ფრათა.
მე გაზაფხულს ვერ შევხარი!
მე ვიმღერი სულ სხვა ჰანგზე.
მოძმეთა ხმა მომიწოდებს,
რო ვიარო იმათ გზაზე.
ცხოვრებამ მე სხვა მასწავლა,
გამატარა მე სულ სხვა გზით:
ტანჯვის ღმერთმა ჩემს კერაზე,
დაიბერტყა კალთა ტანჯვით...
სიხარულის გაქრა ჟამი,
ბძოლის ხმაა შინ და გარეთ:
—აჰა ხელი, ნუ დამარჩენთ,
ამითი მეც გამახარეთ.
რო ბძოლაში ქვეყნის ავზე
ვათქმევინო ცას სიმართლე;
ტანჯვის მოლოხს, რო ვაჩვენო
ჩემი სიკარგ-სივაგლახე...

ა. ხაბულიანი.

რა კარგია გაზაფხული...

რა კარგია გაზაფხული,
თვალ წარმტაცი, მომხიბვლელი.
ზამთრის ყინვით დათუთქული
ახლა ყვავის ტყე და ველი!..
ახლა თვით მზეს სხვა სხივი აქვს
და სიცოცხლეს სხვა ელფერი;
ახლა გული ხარობს, ლაღობს
სევდის დანით დანასერი!..
ახლა ვარდსაც სამიჯნუროთ
გაუშლია ქორფა გული,

და ბულბული დამღერის თავს
მისი ტრფობით დადაგული!..
ახლა მდელო ღელავს, ტოკავს
ყვავილებით მოკაზმული;
ახლა ყველას ატკბობს, ხიბლავს
ფთოსანთ მღერა-ჟრიამული!...
ახლა ყველგან ჩქეფს, ჩხრიალებს
ლაღ სიცოცხლის ნაკადული...
რაკარგია, ღმერთო ჩემო,
გაზაფხული, გაზაფხული!..

ხ. ვარდოშვილი.

სილამაზე.

რა ლამაზი და ტურფაა
შეფოთლილი ტყე, ნაძვნარი!
ფთა ანცი და მობიბინე
მობიბინე სიო წყნარი.
და ფოთლები მოშრიალე,
მოშრიალე ტყის ფოთლები,
მორცხვათ დაბლა დაშვებული,
ფიქვ-ნაძვნართა ღეროები.
ფრინველების ჟრიამული,
სიმღერები ათას-გვარი,
ღვთაებრივი სივრცის ლოცვა,
სივრცის ლოცვა ნაზ-ნარნარი.
ამწვანებულ ტყის კალთებში
ოქროს ქნარის წკრიალითა
ცის ასული დათარეშობს
სიცილითა და კისკისითა...
მას ბანს აძლევს ნაკადული,
მოჩანჩქერე კლდოვან ქვაზე,
და გიტაცებს ადამიანს
ეგ ბუნების სილამაზე.

ნ. ზენობნიელი.

გაზაფხული.

ბაღში ჩუმი მუსაიფი გაუმართავთ ტურფა ფოთლებს,
ყვავილთ კრება პირ-მცინარე, სურნელებას ტკბილს აოართქლებს..

— —

იღვიძებს და იკაზმება, განახლების დგება დილა,
იფურჩქნება ტურფა მხარე, ხალხი წელში იმართება.

— —

მთის წვერიდან მოხტის წყარო, ცელქი წყარო ძირს მოფრინავს,
გზაზე ფანტავს ოქროს ძივებს, მზის სხივებზე განაბწყინებს,

— —

ნიავი-კი დარბის, დაქრის, თავს ევლება ტანჯულ შვილებს,
ტანჯვით შობილთ, ზამთრის სუსხით განაცივებს.

— —

იფურჩქნება... მთა და ველი, განახლების დგება დილა,
მარა მაშვრალთ ხალხის სული, ისევ სევდით იხუთება.

კ. მიმქრალი.

ირინეს მწუხარება.

I

ქარი ქრის, ქარი ზუზუნებს
დაამბრახუნებს კარებსა;
ირინე გიგოს აკვანსა
დამღერის ნანას, არწევსა.
ნინია ცეცხლპირს დამჯდარი
ხელს ითბობს, მხიარულებსა;
ღმერთსა ადიდებს, წყალობით,
რო მარათ ჩამოყურებსა.
ხანცოლს გასცქერის მოხუცი,
ხან ბადიშს შეტრფის იგია;
კვლავ ღმერთს თაყვანს სცემს გულითა,

ბედნიერია ნინია.
წამოეზარდა შვილიცა,
ვაშკაცი კარგი-გიგია;
ბედნიერია დიახაც,
მოესწრა შვილის შვილია...

II

შეკრთა, შეტოკდა მოხუცი,
აუტყდა ჟროჟოლა ტანისა;
გამოეხატა სახეზე
ნიშანი სიმწუხარისა.
წამოხტა ზეზე მშფოთვარე,
აღელვებული, ნაწყენი;
რაღაც იაზრა სამწუხრო
და მით გული აქვს ნატკენი.
შეკრთა ირინეც, შეშინდა,
კითხავს, რა დაგემართაო,
ხომ არ გაგიჟდი, რას შფოთავ,
ან სად აპირებ, რათაო?
რა მოგეზმანა, რას სწუხხარ,
ანუ მღელვარებ რათაო?
ეცა ქმარს, ჩქარა მითხარი,
მეც ჩემი დამემართაო.
— გულმა მიაზრა, გიგია
რო რაღაც გასაჭირშია;
თუ როგორ იგძნო გულმაეს,
ვერ მოველ ამის ფიქრშია.
გული არ იცდის საგულეს,
თითქოს შვა განაპობია;
უნდა წავიდე, მოვნახო,
გულსა ლახვარი მსობია.
სამი დღე არი გიჯია,
რაკ რი. გავიდა გარეთა
და მისი წასვლით სიცოცხლე
ჩავიშხამ-ჩავიმწარეთა...
ირინეც ამ დროს მოხუცსა,
ყურსა ჟგდებდა მწუხარეს
და თვალთგან, კვნესა-ოხვრითა
ცრემლებსა ღვრიდა მდუღარეს...
მოიცვა სევდა-დუმილმა,
მწარე ფიქრებმა წაიღო;
თვითაც არ იცის, რას ფიქრობს,
სად არი და ან სად იყო...
ფიქრობს: საწყალი მოხუცი
სად უნდ წავიდეს ამ ღამე;
რათ ვამითენე, ღმერთო, დღე
და ან რიღასთვის მიღამე?!
ხან რას ფიქრობდა, ხან რასა
და ხან, რას მოედებოდა...
ეჭვით ნაგძნობი კაცის გულს
განა-კი დაეჯეროდა?.
იმის ფიქრის დროს ნინიამ
მონახა დიდი კეტია;
— უნდა წავიდე, უეჭველ,
რა დამრჩენია მეტია. —

III

წავიდა... ბნელი-ღამეა,
მეთორმეტეა საათი, —
ცალ ხელში ჯოხი უჭირავს
და მეორეში — სანათი.
ქარი ქრის, ქარი ზუზუნებს
კოკის პირული წვიმაა;
ჩაქრა სანთელი, არ დგება
და სამწუხაროც ესაა...
მიდის, სად მიდის, არ იცის,
ვერ ხედავს თვალით ვერასა
და წრფელის გულით, გიგიას,
ცრემლით ავედრებს ზენასა.
ხან მთა-კორდებით იარა.
ხანაც ვაკე და ველითა;
ღმერთს ევედრება, მუხლმოყრით,
ნუ მყოფ მოარულს ცრემლითა...
მივიდა წყლის პირს ჩანჩალით,
არ დახვდა წყალზე ხიდია;
ლამობს გასვლასა, ფეხთ იხდის,
ვერგავა, სწორეთ დიდია.
არ დაერიდა, ჩავიდა,
გულს სიმწუხარე დიდია;
ფეხს ძლივს იმაგრებს საწყალი,
სიცოცხლე ბეწვზე კიდია.
ხან ჯოხს იბიჯებს, ხელს აქნევს,
წყალმა მკერდამდის უწია;
ლამობს წაღებას, წაიღებს,
მოხუცი მეტათ სუსტია.
მედგრათ სცემს წყალი, ძირს დასცა

დაშიგ თავდაღმა ყუდია;
წაიღო... მიაქვს და მირბის
აქაფებული „გუდია“.

IV.

გათენდა... მზემაც ქვეყანას
მოფინა ოქროს სხივები;
მცენარეთ ცვარი ეკიდვის,
ვით მარგალიტის მძივები.
გამოეღვიძა ქვეყანას
და ახმაურდა ყოველი;
მიმოეფინა მთა-ველებს
ფრინველი, კაცი, ცხოველი.
შაშვი „ჩუფ-ჩუფო“-ს იძახის
და იადონი „ტიასა“;
ბულბული გძნობით დამღერის
კოკობ ვარდს, ნაზსა იასა.
ტოროლა გაუტაცია
მაღლა თავის ხმა-მღერასა;
დაუბღუჯია ნიბლია
კლანჭებში ავსა ძერასა...
ყველა იმღერის და ხარობს,
არწივიც მაღლა მათზედა,
თითქოს ნინიას სიკვდილით
მოფინებოდეთ გულზედა.
მხოლოთ არ ხარობს ირინე,
გული მწარ-განაღონია;
კარზე გამომდგარს მგზავრები
ყველა ქმარ-შვილი გონია.
გულის ცახცახით მოელის
ქმარ-შვილს მხიარულს, მღერითა;
გადმოებრიცა თვალები
გზისკენ ამდენის ცქერითა.
მარა არ ჩდება არც ერთი,
თითქოს ირინეს ჯინაზე,
მის წინ გადაშლილ მდელოსა
სულ დაეკარგა სინაზე...
ფრიად დაღონდა ირინე,
ბევრი ცრემლები დაღვარა;
ცრემლებმა თვალი ატკინა,
სევდამ-კი გული გაღარა...

V

მზე გადიხარა სასამხროთ,
ბაშრო გზა და შარები;
მიდვრის ბოლოზე გამოჩდენ
ვიღაც უცნობი მგზავრები.
ორთავ ურთერთსა წაგვანდა,
იყო ორთავე ჩქარია;
შამოუერთდა სხვა გზითა
ამათ კიდევ ორი მგზავრია.
სოფელ წერასკენ მოჰქროდენ,
ვით ქორი სწრაფი-მალია;
რა დაინახა ირინემ,
მათ დაატანა თვალია.
არ ეჭაშნიკა*) მგზავრები
და აუყუჩდა გულია;
ნამდვილ ჩემთან აქვსთ ამბავი
სამწუხარო ჯ კრულია.—
რა შამოვიდენ სოფელში,
ნინიას სახლი იკითხეს.
მყის მიაშურეს იქითკენ;
საც მიუთითეს, ანიშნეს.
და რაუამბეს ირინეს
შვილიც მოგიკვდა-ქმარია;
იკივლა, სახე იკაწრა
და დაიგლიჯა თმანია...
მოგროვდა ხალხი, იკითხა,
ირინეს რა ატირებსო.
ნინია წყალში დაიხჩო,
გიგია მტრებმა მოკლესო..
სად, როგორ, როდის, ვინ მოკლა?
ხალხის ბრბო მეტათ კვირობდა.—
გვიამბეთ, ჩქარა გვიამბეთ,
ჩვენსა გიგიას, ვინ მტროობდა?
დაიწყო ორმა, რომელნიც
ურთერთს წაგვანდენ სახითა,
ამ სამწუხარო შემთხვევის
გზობა გიგიას ამბვითა.
—გაღმა ვიყავით „გუნიდან“
მოგვქონდა ურმით ბარგები;
მწვანე წყლის პირას დაგვესხენ
მოულოდნელათ თათრები.
შიში გვმართებდა, რავნახეთ,
ხმალამოწვდილნი თათრები,
მარა არ შევკრთით, ურჯულოთ
გადოუჭირეთ სახრები.

*) არ ესიამოვნა.

ბევრი დავყარეთ უგძნობოთ,
ბევრს აუტირეთ დედები
და გაუცურეთ ტრაბახი
მათ ჩვენზე დანაქადები.
ჩვენოცნი მარტო ისინი
ასამდი დაითვლებოდენ,
დაურჯულონი ჩვენს სახრეს
შიშითა გაექცეოდენ.
ორმოცი მოკლა გიგიამ,
კიდევ მოკლავდა ამდენსა,
მარა სიმრავლემ მტრისამა
მეტი არ დააცალესა.
არ დაგვიკლია ჩვენც ხელი,
რაცა მოვკალით-კმარია;
გავჟლიტეთ, უკუ ვაქციეთ,
დღე დავაყენეთ მწარია,
ეს გამარჯვება-კი ჩვენთვის
იმათზე უფრო მწარია,
რათგან გიგია აღარ გვყავს,
აგერა, მოაქვთ მკვდარია...

VI

ყველა ტიროდა გულწყვეტით
გიგიას, ვაშკაცს ქებულსა
და ადარებდენ ამირანს,
ქრისტესგან მირონცხებულსა.
შაშვიც ტიროდა:-შეგვძულდა
სოფელი ესე კრულიო;
ნინია პირველ მე ვნახე
ჭალაში გარიყულიო.
ბულბულიც ვარდზე მჯდომარე
წუხდა, ცრემლს ღვრიდა მწარესა;
ნუგეში ეცი შენ ასე
ირინეს მგლოვიარესა...
ყველანი წუხდენ, გიგიას
ასე უდროოთ სიკვდილსა;
მზეს-კი გაქონდა ჭიატი,
ვერ იკავებდა სიცილსა.

გ. ლადოშვილი.

შემოდგომა.

შემოდგომა მიიწურა... მოახლოვდა ზამთარი:
ხეს ფოთლები დაუყვითლდა, დასაცვენათ მზათ არი.
მას რათ წუხხარ, რო ფოთლები ხეებიდან ცვივიან,
გაზაფხულზე ის ხეები ისევ შეიმოსვიან.
სამწუხარო-სავალალო ჩვენთვის უფრო ის არის,
რო ძალ-ღონე სიყმაწვილის გამოლევას იჩქარის:
აზრი, ფიქრი, ჭკვა და ხსოვნა, ყველა ერთად კლებულობს,
გაზაფხულზე მათ მაგიერს, კაცი ველარ ღებულობს...

ნესტორი.

1 ნოემბერი, 1915 წ.

კულტურული კავშირი!.

შარშან, თფილისში აკაკის დაკძალვის დღეს, ერევნის მოადანზე, ამ ჩვენის ქვეყნის ერთმა დიდმა მოღვაწემ, ნიკო ნიკოლაძემ ქართველთათვის ძალიან პატარა, მარა ძალიანი დიდი შინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა: ხედავთ, რამხელა ჯარი გყოლია? ხოლო შტაბი არსად გაგვაჩნია, ურომლისოთაც ამ განსაცდელით სავსე დროში ერი არა თუ წინ ვერ წაიწევს, ვერც-კი გაძლებს. იქნება, აკაკის ხსოვნამ ის სასწაული მოახდინოს, რო დღეინდელი ჩვენი ერთობა და ერთი ხელმძღვანელობის მორჩილება ისეთივე მუდმივი გახადოს მამულის სახეიროთ როგორც უკვდავი დარჩება ჩვენში აკაკის სახელიო..

აი, ეს „შტაბი“ დაარსდა საქვეყნოთ საქართველოს უძველეს დედა ქალაქში ამ წლის 12 აპრილს, რომელსაც ამიერიდან სახელათ ეწოდება „კულტურულ განმანათლებელი საზოგადოებათა კავშირი“.

ამ „კულტურულ კავშირში“ თავი მოიყა-

რა ჩვენი ქვეყნის არე-მარეზე გაფანტულმა და გაცალკევებულმა კულტურულ ძალთა წარმომადგენელებმა, რომ ერთ სულოვანი დაძმურათ შეთანხმებული მოქმედებით დიადი, უშვენიერესი და მიმზიდველი ეროვნული ბაირაღით როცა და საცა საჭირო იქნება, თამამად გამოვიდეს ასპარეზზე საქვეყნოო...

მართალია, დღემდი საქართველოში სხვა და სხვა კულტურული, თუ განმანათლებელი საზოგადოებანი არსებობენ, რომელნიც თითოულათ საკუთარ სიმპატიურ საქმეს და მიზანს ემსახურება და თავის დანიშნულებას პირწმინდათ ასრულებს.

მარა ეს საზოგადოებანი ცალკ-ცალკე მაინც ვერ აკეთებენ იმდენს, რამდენიც შესაძლებელი იყო, გაკეთებულიყო ჩვენ ბედში მყოფი ერის ცხოვრებაში და მარტო ქაღალდზე შავათ დაწერილი რჩებოდა მრავლის უმრავლესი საჭირო საქმეების გაკეთება.

დღეიდან დაარსდა ამ სხვა ტ სხვა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა შემაერთებელი ორგანო ტ იგი მამასავით გაუწევს მეთაურობას ტ მზრუნველობას ყოველგვარ სასარგებლო ქართულ საქმეს ტ ამ საერთო მიზნების გულწრფელი გამომხატველი ტ ხელმძღვანელიც ეს „კულტურული კავშირი“ იქნება. ამ რიგათ, როგორც ბძანებს ჩვენი ნიჭიერი მოღვაწე, ბატ. ექვ. სიმ. თაყაიშვილი*)—“თუ თითოული ჩვენი საკულტურო საზოგადოება ანალიზია ჩვენი საერთო კულტურისა, კავშირი სინტეზი უნდა იყოს ამავე კულტურისაო!!.

კულტურული კავშირი ამიერიდგან ეცდება ერთი კოლეკტივური ნება, ერთი ღრმა და ძლიერი, დიადი გარკვეული ეროვნული მიმართულების სული შეიტანოს ყოველგვარ ქართულ კულტურულ საქმიანობაში ტ დაიცვას ყოველგან ტ ყოველთვის, ვის წინაშეც უნდა იყოს ეს, ქართველების ტ **საქართველოს ინტერესები**.

მთელი ქართველი ერი, როგორც ერთი კაცი, ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე და მხარე, წოდება და კლასი, ქონება-დოვლათის, ასაკის, სქესის, სარწმუნოების, ჯგუფების და პარტიების განურჩევლათ, ერთი ძლიერი გძნობით და სამერმისო სურვილებით უნდა ვიყოთ გამსჭვალული, რო სიფთხილით და ბძნულის გულდადებით ვემსახუროთ ამ დიად საიმედო ქართულ საქმეს-

მაშინ კულტურულ კავშირის გამგეობის ყოველი წევრიც უფრო იმედიანათ და ენერგიულათაც იმოქმედებს, გაიმსჭვალება საქვეყნო საქმის დიდი და წრფელი სიყვარულით და თავსაც დადებს ქართველი ერის უფლებისა და სახელისთვის...

ეს ასე ყოფილა სხვაგანაც, სადაც ამ გვარი ეროვნული დაწესებულება ქონიათ, მაგალითად, სომხებში და ჩვენ, თუმცა გვიან, მარა მაინც, ამ მწარე განსაცდელის დროს, დავიარსეთ ეს კულტურული კავშირი იმ იმედით, რო სხვების მაგალითი ჩვენთვის ფუჭათ არ ჩაივლის და გზის მაჩვენებელი ბწყინავი ვარსკლავი იქნება და, მაშასადამე, უფრო მეტს სიბძნეს და წინ დახედულობასაც გამოვიჩენთ.

12 აპრილს ამ კავშირის ყრილობას დაესწრენ საუკეთესო პირებათ ცნობილი მოღვაწენი, რომელთაც გამგეობაში აირჩიეს საქართველოს უკეთესი შვილები, რომელნიც თავდადებით დაიწყებენ მუშაობას ჩვენი პატარა, მარა შვენიერი ქვეყნის წარმატებისა და სახელისთვის...

ამიერიდან ქართველმა კაცმა გულში ცხოველი იმედი უნდა იქონიოს, რომ ახალი ორგანო საქართველოში შეიქნება ისეთ დაწესებულებათ, რომელიც ჩვენი მოყვრების და მტრების თვალში განამტკიცებს საქართველოს შვილთა პოლიტიკურს და მორალურს მნიშვნელობას და მით დაიმსახურებს ყოველი პატიოსანი ქართველი კაცის დიდ სიყვარულს ტ ნდობას.

ხომლელი.

*) მის შვენიერ სიტყვას აქვე ვსტამბავთ უცვლელათ.

სიტყვა ექ. თაყაიშვილისა

კავკასის სამეფისნაცვლოს ქართველთ კულტურულ-განმანათლებელსაზოგადოებათა კავშირის რწმუნებულთა კრებაზე 12 აპრილს 1916 წ.

ბატონებო! პირველ კრებაზე თქვენ უკვე მოისმინეთ პატივცემული გიორგი ნიკოლოზიძის ყაზბეგის საგულისხმიერო სიტყვა, შესახებ საკულტურო კავშირის დაარსებისა და მიზნისა. ახლა საჭიროთ ვრაცხთ ამას ცოტა რამ დავუმატოთ და დაახლოვებით გავითვალისწინოთ, თუ რას უნდა ემსახურებოდეს კავშირი და, რა ადგილი უნდა ქონდეს მას სხვა საკულტურო საზოგადოებათა შორის. მარა პირველათ უნდა აღვნიშნოთ, რო კავშირის დაარსება სრულიათ დროს შესაფერათ უნდა ჩაითვალოს და მასთან აუცილებელ საჭიროებათ. თანამედროეობამ შეაკავშირა არა თუ სახელმწიფოები და სხვა და სხვა ერები, არამედ უკიდურესი პარტიებიც და ჯგუფები თითოულს სახელმწიფოში. ჩვენს სახელმწიფოში ამას მოყვა სხვა და სხვა დაწესებულებათა და საზოგადოებათა კავშირი და კოპერატული მოძრაობა. ასე, რო ჩვენს დროს კავშირთა და კოპერაციათა ხანა შეიძლება ვუწოდოთ. ყველას კარგათ მოგეხსენებათ, თუ რა დიდ საქმეს აკეთებენ საერობო და საქალაქო კავშირები რუსეთში. ამ კავშირებმა ის შეძლეს, რაც ვერ შეძლო ვერც მთავრობამ და ვერც სახელმწიფო დუმამ. საეროპო კავშირს, მაგალითად, სამი ათასი სხვა და სხვა დაწესებულება აქვს და ფასდაუდებელ საშსახურს უწევს მილიონ ჯარს. კავშირებმა გამოაღვიძეს ხალხი, ჩაუნერგეს მას მისწრაფება საზოგადო მუშაობისთკის. ჩვენისანა პატარა ერისთვის კიდევ უფრო საჭიროა შეკავშირება ყოველგვარ საქმეში, ვიდრე მრავალრიცხოვან ერისთვის. ჩვენი დრო პატარა ერების ყოფნა-არყოფნის დრო არი. ამიტომ ჩვენ გვმართებს მჭიდროთ შეკავშირება და სიფხიზლე, რო საქვეყნო ქარ-ტეხილმა არ აღგვგავოს ძირიანათ. დაკნინება, დაქუცმაცება და ერთმანეთის გაუტანლობა ჩვენი ისტორიული სენია. საქართველო იმდენათ მტერს არ დაუქცევია, რამდენათაც შინაურმა დაქსაქსულობამ დააქცია. ეს ისტორიული სენი ახლაც თან გვახლავს, მარა სხვა რიგათ იჩენს თავს. ეს არი ჩვენი ერთმანეთის გაუტანლობა, სხვა და სხვა პარტიების და ჯგუფების სასტიკი ბძოლა, გაუთავებელი ლანძღვა-გინება პოლემიკაში, ერთი მეორის პირადობის დამცირება... თუ ჩვენ მთავარ საკითხებში ვერ შევთანხმდით, ვერც რამეს თვალსაჩინოს გავაკეთებთ. ჩვენი დრო კოლექტივურ ძალის და კოლექტივური მოქმედების დროა. რაც უნდა ნიჭიერი და მხნე იყოს თითოული ადამიანი, ის შეუკავშირებლათ, სხვის დაუხმარებლათ ფონს ვერ გავა. თუ სხვა მთავარ საკითხებში ვერ შევთანხმდებით, საკულტურო და საეკონომიო საქმეებში მაინც უნდა შევთანხმდეთ და საერთო ძალით, ერთმანეთის ნდობით გავახორციელოთ დანიშნული მიზანი. საკულტურო და საეკონომიო კავშირი სხვა კავშირსაც გამოიწვევს და თანდათან გზას გვიჩვენებს ერთობისას, შეთანხმებისას სხვა მთავარ საკითხებშიც.

ამ ჟამათ ჩვენ საკმაო საკულტურო დაწესებულება მოგვეპოვება და, ეჭვი არ არი, კიდევ მეტი გვექნება. ყველა დაწესებულება, ყველა საზოგადოება თავის მიზანს ემსახურება თავის ძალით და შეძლებით, თავის დანიშნულებას ასრულებს. ყველა საქართველოს კეთილდღეობისთვის მოქმედობს. მარა ამ ძალებს კორდინაცია ეჭივრება, შემაერთებელი ორგანო უნდა და ასეთ ორგანოთ უნდა გახდეს ჩვენი კავშირი. თითოულმა ჩვენმა საზოგადოებამ უნდა წინ წასწიოს ერთ მის მიზნათ დასახული დარგი ჩვენი კულტურისა, ხოლო კავშირმა უნდა იზრუნოს და წინ წასწიოს საერთო კულტურა ქართველი ერისა. ყოველი დარგი ჩვენი კულტურისა ორგანოა საერთო ქართული კულტურისა და ვერც ერთი საკულტურო დაწესებულება ვერ იხეირებს ერთი მეორის დაუხმარებლათ და საერთო მიზანს შეუწონებლათ. ზოგიერთი ჩვენი დაწესებულება წვრიმალ საქმეებს აწარმოებს და საერთო საქმეს, საერთო

მიზანს ივიწყებს. ამ საერთო მიზნის გამომხატველი და საერთო კულტურის ხელმძღვანელი უნდა გახდეს კავშირი. სხვაფერ რო ვთქვათ, თუ თოთოული ჩვენი საკულტურო საზოგადოება ანალიზია ჩვენი საერთო კულტურისა, კავშირი სინტეზი უნდა იყოს ამავე კულტურისა. ამიტომაც, კავშირმა უსათუოდ თვალი უნდა ადევნოს ყველა ჩვენ კულტურულ საზოგადოებათა მოქმედებას, დაეხმაროს ზნეობრივათ და ქონებრივათ იმათ, რომელთაც ეს ამ ჟამად ესაჭიროება, თავს იდვას მათ მაგიერ შვამდგომლობა მთავრობის და სხვა დაწესებულებათა წინაშე თფილისში. გამონახოს საშვალება და თავს იდვას ინიციატივა, რო საერთო ძალით, ყველა საზოგადოებათა დახმარებით გავახორციელოთ დროს შესაფერი საერთო და საეროვნო საქმე, რომელსაც კერძო საზოგადოება თვისი ძალით ვერ ასრულებს, ან ჯერ ძალი არ შესწევს, რომ აასრულოს. რაც ერთ საზოგადოებას არ შეუძლია გააკეთოს, თვისი ძალით და სახსრით, შესაძლებელი იქნება გაკეთდეს შეერთებულის ძალით და სახსრით ყველა საზოგადოებათა. ასე იყო ძველათ ჩვენ ცხოვრებაში (და ახლაც არი სოფლათ ზოგიერთ ადგილას), როდესაც ერთ ადამიანს არ შესწევდა ძალი თვით დაემუშავებია თვისი ყანა. ან აეშენებია სახლი, იმას მეზობლები უშველიდენ და საერთო ძალით, ერთ დღეს გააკეთებდენ იმას, რასაც კერძო კაცი 2 თვეს ვერ გააკეთებდა. ამას ქართლ-კახეთში მამითადობას ეძახიან, იმერეთ-გურიაში — ნადობას და ასეთი მამითადობა საკულტურო საქმეშიაც გვჭირია.

ამას გარდა, ბ-ბო, ჩვენის აზრით საკულტურო საზოგადოებების დელეგატთა კრება და, საზოგადოთ, ჩვენი კავშირი ასე, თუ ისე ქართველი ერის საერთო აზროვნების და საჭიროების გამომხატველი უნდა იყოს, ან ყოველ შემთხვევაში, აზრათ უნდა ქონდეს ასეთი აზროვნების და საჭიროებათა გამომხატველათ გადაიქცეს. ჩვენ, ჩვენდა სამწუხაროთ, ყოველ უფლება მოკლებულ ერს წარმოვადგენთ. არა გვაქვს თვითმართველობა, თავისუფალი ეკლესია, ერობა. არ მოგვეპოვება ისეთი დაწესებულება, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდეს ერს. ამიტომაც არი ამ როლს კისრულობენ ზოგიერთ შემთხვევაში სხვა და სხვა პარტიების და ჯგუფების წარმომადგენელნი. მარა ესენი ვერ ჩაითვლებიან მთელი ერის ხელმძღვანელათ და საერთო აზრის გამომხატველათ. ამათ არც ხმის უფლება აქვთ მთავრობის წინაშე. ამ ბოლო დროს ზოგიერთი კერძო პირებიც კისრულობენ ქართველი ერის სახელით ლაპარაკს და მოქმედებას, დიდ მოხელეთა წინაშე, თუმცა ეს მათვის არავის არ მიუწვდია. ასეთი არამკითხე მეამბე ზოგჯერ მადლობას უცხადებს ზოგიერთ წარჩინებულ მოხელეს იმ საქმის შესახებ, რომლისთვისაც უფრო საყვედური გვმართებს, ვიდრე მადლობა. ხშირათ არი შემთხვევა და ამ დღეებშიაც ასეთ შემთხვევას ადგილი ქონდა, რო მთავრობას უნდა გაიგოს აზრი ქართველი საზოგადოებისა, ქართველი ერისა ამა, თუ იმ საკითხის და განზრახული რეფორმის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, მთავრობას წარმომადგენელი მიმართავს ხოლმე თავად-აზნაურთა წინამძღოლს. კიდევ კარგი, რო ჭკუადახედული წინამძღოლი არ კისრულობს თავის თავად პასუხი გასცეს მთავრობას შეყრის ხოლმე თფილისში არსებულ კულტურულ საზოგადოებათა წარმომადგენელებს და მათი დასკვნით ხელმძღვანელობს, მარა თქვენც დამეთანხმებით, რომ ეს საკმაო არ არი. მარტო თფილისში არსებული საზოგადოებათა წარმომადგენელნი კი არ უნდა კისრულობდენ ასეთის პასუხის გაცემას, ყველა ქართულ საზოგადოებათა დელეგატები და მათ მიერ არჩეული ორგანო. ასეთი კრება, შედარებით, უფრო საიმედო წარმომადგენელი იქნება ქართველი ერისა, ვიდრე მარტო თფილისში არსებულ საზოგადოებათა წარმომადგენელნი. თუ ასეთ შეხედულობას კავშირის შესახებ თქვენც იზიარებთ, ადვილათ წარმოიდგენთ, რა დიდი მოვალეობა გაწევთ კისერზე, როგორი სიფთხილით და გულის დადებით უნდა მოვეპყრათ ამ ახალ დაარსებულ კავშირს. იმისი ბედი და წარმატება თქვენზე, აქ შემოკრებილს დელეგატებზეა-დამოკიდებული და იმ გამგეობაზე, რომელსაც თქვენ ამოი-

რჩევთ. გამგეობაში, რასაკვირველია, ისეთი კაცები უნდა ამოვარჩიოთ, რომელთაც საკმაო დრო აქვთ საზოგადო საქმის საძსახურისა, რომელნიც შრომას არ დაზოგავენ ამ დიადი საქმისთვის და რომელიც გაამართლებს თქვენ სურვილს, მარა, რაც უნდა კარგი გამგეობა ამოირჩიოთ, თუ გამგეობაზე მიაგდეთ საქმე, თითოულმა თქვენგანმა აკტივური მონაწილობა არ მიიღეთ კავშირის საქმეში, საქმე მაინც სასურველათ ვერ წავა და ეს ახალი საზოგადოებაც სხვა ჩვენ მრავალ საზოგადოებას დაემსგავსება, რომელთ მოქმდება ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ასე მომხდარიყოს! ის გარემოება, რო მრავალ საზოგადოებათა კრებაზე დელეგატების არჩევას დიდის ინტერესით მოეპყრენ, ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რო ყოველი თქვენგანი დიდის ინტერესით და ხალისით იმუშავებს ამ ახლათ დაარსებულ კავშირში. ამიტომაც, კავშირის დამარსებელნი გილოცავთ თქვენ, საუკეთესო ქართველ საზოგადოებათა წარმომადგენელებს, ამ საერთო დელეგატთა კრების გახსნას და იმედოვნობენ, რო თქვენის ენერგიულის მუშაობით ეს კავშირი ისეთ ორგანოთ გადაიქცევა, რომელიც ყველა ქართულ კულტურულ საზოგადოებათა მოქმედებას გააერთიანებს საერთო მიზნისთვის, საქართველოს კეთილდღეობისთვის, საუკეთესო მერმისისთვის, წინ წაწევს ყოველ გვარ კულტურულ საქმეს ქართველობისას და იქნება გამ ოხატველი ქართველი ერის საერთო აზრისა და მისწრაფებისა. ამ სარბილზე დაგვილოცია თქვენთვის გზა მშვიდობისა, უნარი მოქმედებისა ⁄ გადმოგვიცია ეს ჩვენი ერისთვის მრავალმნიშვნელოვანი საქმე.

ბიბლიოგრაფია.*)

Князь А. М. Эристовъ. „Вопросы экономической и духовной жизни грузинъ.“ Петроградъ. 1916 г. Ц. 1р. Въ пользу увѣчныхъ воиновъ на Кавказѣ. (ქართველთა ნივთიერი და სულიერი ცხოვრების საკითხები).

*) ამ ნუმრისთვის დამზადებული კრიტიკა, უადგილობის გამო, ვერ ისტამბება.

თავ. ა. მ. ერისთავის ნაწარმოები პირველათ გამოდის ახლა წიგნის ბაზარზე. მართალია, დღეინდელი უშველებელი ქარცეცხლი, რომელიც წასალეკათ მოედვა მთელ ქვეყნიერებას, მოაზრე ადამიანს ამ წიგნისთვის არ მოაცლის. მარა იგი განსაკუთრებულის ინტერესის და დიდი ყურათღების ღირსია რუსთათვისაც და ქართველებისთვისაც, ხო რასაკვირველია.

ეს წიგნი სარკეა, სადაც ავტორი იხატება, როგორც დიდი გულწრფელი და მიუდგომელი კალმის კაცი. და როცა იმის წიგნის, კითხვას იწყებთ, გავიწყდებათ ყველაფერი და ხელს არ უშვებთ, სანამ ბოლომდის არ გაათავებთ წიგნის წაკითხვას. მკითხველს იზიდავს დიდათ საინტერესო ფაკტების საუცხოოთ, ლიტერატურულათ დალაგება და მასთან სასიამოვნო, მიმზიდველი მანერა წერისა.—

აი სეკრეტი, რომელიც იწვევს მკითხველში ამ წიგნის მალე დიდ, მიუთმენელ წაკითხვას.

ავტორის სურვილი ყოფილა, თვისი ნაშრომი სადმე რუსულ ჟურნალში სტატიათ დასტამბულიყო. მარა ვერ მოხერხდა...

ავტორს, როცა თვისი ნაშრომი უფრო გულ დასმით გადაუკითხავს, დარწმუნებულა, რო რუსული ჟურნალი ასეთი ხასიათის ნაშრომს-რუსის მთავრობის აგრესიული პოლიტიკის მიმართულების უტყუარ ისტორიას საქართველოში — დიდი უსიამოვნო გძნობით დასტამბავდა და იგი, მართლაც, არ... დაუბეჭდეს.

ამ ფაკტს განმარტება აღარ უნდა.

„საქართველოს რუსეთთან შეერთება იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტის ძალით, ემყარებოდა შემდეგს ფუძეს: „არა გაძლიერებისთვის, არა ანგარებით, ან საზღვრების გაფართოებისთვის ისედაც ვრცელ ჩვენი იმპერიისა ვიღებთ ჩვენ ტვირთს საქართველოს სამეფოს მართველობისას...“ აქვე აღთქმული იყო, რო საქართველოში დამკვიდრდებოდა „მთავრობა, რომელიც დაამყარებდა მართლმსაჯულებას, პირათ და ნივთიერ უზრუნველყოფას, კანონის ძალით თითოულ პიროვნების მფარველობას“. საქართველო რუ-

სეთს შეუერთდა თვისი პროვინციებით ერივნითა და განჯითურთ. ამ დროს ერივანში სომეხთა კათალიკოზი ცხოვრობდა, რომელიც ამ წოდებას ქართველ მეფეთა წყალობით იღებდა.

1783 წლის ტრაკტატის განკერძოებულ მუხლის ძალით, რუსეთმა აღუთქვა საქართველოს, თუ-კი ოდესმე ბძოლით დაიბრუნებდა საქართველოს მიერ დაპყრობილ ბ შემდეგში დაკარგულ პროვინციებს, საქართველოს ტერიტორიისთვის არ გამოეწირა და ისევ მის შემადგენლობაში შეეტანა. თამარ დედოფლის მეფობის დროს-კი, საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრები თვით ტრაპიზონის კიდიდან ირანამდი იყო გადაშლილი; ხორასანი, ზანჩინი, კაზმაონი და სხვები მის მოხარკეებათ ითვლებოდენ. საქართველოსვე ეკუთვნოდა სომხეთის მეტი ნაწილი. საქართველო ლაშქრობდა სირიისკენ, პალესტინისა და მესოპოტამიისკენ. ვახტანგ II, 1303 წელს შევიდა იერუსალემში. თუ მე-XV საუკ. საქართველოს ბედი არ შეტრიალებულიყო მონღოლთა შემოსევისგან, იქნება, მთელი მცირე აზიის ისტორია სულ სხვა გვარი გვქონებოდა დღეს. საქართველოს ისტორია დიდებული რამ არი... იგი დიდებულია, როგორც დიად ბძოლათა ისტორია. თვით რუსეთთან შეერთების შემდეგაც-კი, ქართველები არ ჩამორჩენილან რუსთა იარაღის გამარჯვებაში... ყოველთვის და ყოველგან ქართველები მოწინავე რაზმებში იყვენ, კავკასიელ ჯართა სახელით ძლევამოსილებით გმირულათ მიქროდენ წინ.

პატივცემულ ავტორს უფრო აინტერესებს საზოგადო-ისტორიული მოვლინებანი, ქართველთა მიწის მფლობელობის დიდი საკითხებით გამოწვეული. მთელი ეს დიადი საკითხი მრავალტანჯული ქართველი ერისა, რუსეთის მფლობელობის დროს, პირ და პირ, საქვეყნოთ მზეზეა გამოტანილი და ძლიერის, ნიჭიერათ დახატულის ხაზებით შუქსა ფენს მას...

ავტორი არა ფარავს და პირ და პირ აღიარებს იმას, რაც გულში აქვს ყოველს ნამდვილს და ჭეშმარიტს ქართველს, რო რუსის მთავრობის ამ აგრესიულ მიზნების წამოყენებამ საქართველოში წარმოშვა დიდი უკმაყოფილება თვისი ნივთიერი და სულიერი ცხოვრებისა. იგი დროებით ვალდებულ გლეხებისა და ხიზნების საქმეში მთავრობის პოლიტიკასაც ძალიან ეჭვის თვალით უყურებს...

პატივცემული ავტორი შესანიშნავის ნიჭიერებით თავს უყრის აუარება ფაკტებს და აღიარებს, რო მათ ტენდეციებით გატაცებული მთავრობა ხელოვნურათ განზრახ, ყოველის საშვალებით ქმნიდა, აუარება მდიდარ მამულებს საქართველოში ისაკუთრებდა, მეფეებისა, მთავრებისა და დიდი მემამულეთა ჩამოშავლობას რუსეთში ასახლებდა... და მათ საკუთარ მამულებზე ხელი სრულიათ დაებანია, ქართველ მემამულეებს საშინლათ, ცრუმაფიცრების მეოხებით ავიწროებდა, მთელს ამ უმდიდრეს ქვეყნის არე მარეზე ნივთიერი დოვლათის გაქარწყლებას და კერძო მესაკუთრეთა სულის შეხუთვას, სრულს განადგურებას აწარმოებდა... აი, სად არი ძირითადი დასაბამი ჩვენი ქვეყნის დიდი ანარხიისა, ცარცვა-გლეჯისა, ყაჩაღობისა, იმისიც, რო ციმბირში სოფლებიც კია ქართველებით გაშენებული, თურმე...

ეს უშველებელი ამბავი, რომელიც ასე მოულოდნელათ მთელი საუკუნის განმავლობაში, თავზე დაატყდათ ჩვენ უბედ-იღბლო ქვეყანას და მისკენ-ილ-შობილ, რაინდულ შვილებს, დიდათ დიდი, ფრიად საინტერესო ისტორიაა, რომელსაც პირველათ შეეხო ქართველი კაცი ლიტერატურაში, ასეთი სულდათქმული და სერიოზული კრიტიკით...

ჩვენი ავტორი რუსის მთავრობის ამ მოუხეშავი პოლიტიკის გავითარებას ქართველთა ძალების დაუძლურებითაც ხსნის...

ნამეტურ 80-იან წლებიდან დაიწყო ძლიერი პრაპაგანდა რუსების ინტერესებისა საქართველოში და სხვა, არა ქართველთა მოდგმის ხალხებს და მთელ კლასებსაც ამხნევებდა და აქეზებდა ქართველების მდიდარი მიწა-წყლის, ტერიტორიის შეძენაში...

ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგე, კარლოს პაკვალენი, რომელიც ვარანცოვ-დაშკოვის მიერ იყო დაყენებული,

„მეცნიერ“ სოციალისტთა ზეგავლენით მოყვა ქუთაისის გუბერნიაში სოც. დემოკრატთა პროგრამის ერთი პარაგრაფის გაყვანას: ამ გუბერნიაში მრავალი საგარეაკო ადგილები იყო, რის გარშემოც დავა იყო ატეხილი კერძო მესაკუთრეთა და ხაზინის შვა. რო საკითხის გადაჭრა დაეჩქარებიათ, გადაწყვიტეს კარლ მარქსისა, კაუტსკისა, რამიშვილისა და ლომთათაძის ჩვენების თანახმათ, ეს მიწები დაერიგებიათ უმიწაწყლო გლეხობისთვის. მარაგზად მათ ბევრი რამ დაბრკოლება გადაეღობათ და ჩვენი „მეცნიერი“ მარქსისტები და ბიუროკრატია შორდება, ცოტა არ იყოს, ყურებ ჩამოყრილი. ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი სხვის საკუთრების გაყოფის დროს, სოციალიზმის გასამარჯვებლათ, გახლდათ, სხვათა შორის, ისიც, რო გასაყოფი მამული ხვნა-თესვისთვის გამოდგა და ახალი მეპატრონენი-კისულ მხვნელ-მთესველნი იყვენ...

ეს უბრალო მაგალითი ფრიად დამახასიათებელია იმის საილუსტრაციოთ, თუ სახელდობ, როგორ და რა სახით კურნავდენ საქართველოს წყლულებს. ასეთი სავალალო ცდა ბევრიდან ბევრი მოხდა და მეტათ ძვირათაც დაუჯდა, ისედაც წელში გაწყვეტილს საქართველოს.

ჩვენი პარტიების ნიჭიერი ბელადები თავ. ა. მ. ერისთავს კლასობრივს, თუ წოდებრივს იდეოლოგობას უკიჟინებენ...

თუმცა მე, პირადათ, მის ნაშრომში იდეოლოგიას ვერა ვხედავ, მარა, თუნდაც ასე იყოს, რა არის აქ დასაძრახისი, ან საკიჟინებელი.

ნეტავი, თქვენიკარგა ყოფნით, ჩვენი დაბეჩავებული, ღარიბი ერი, ისე დაწინაურებული იყოს კულტურულათ, რო საკუთარი იდეოლოგები გამოუჩდებოდეს ქართველების ყველა კლასებს...

ევროპის დასავლეთის ხმელეთზე, რომელი ერი გნებავთ, აიღეთ და ნახავთ, რომ იქ იდეოლოგები ყავთ თავად-აზნაურობას და ლორდებს, მაღალ სასულიერო კლასს ცალკე, დაბალ სასულიეროს-ცალკე, დიდათ-დიდ, სხვილ კაპიტალისტებსაც, წვრილ ბურჟუაზიასაც, პროლეტარიატსაც, ქალაქის(мѣщане) და დაბა-სოფლის გლეხებსაც.

და, მერე, ჩვენ, ქართველებმა როდისღა უნდა მივაღწიოთ ამ მდგომარეობას? თუ ეს ჩვენთვის დღეს სასურველიც არ არი?!

სხვა გზა არა აქვს არსად გავითარებას და საზოგადობრივი აზრის ევოლიუციას...

თქვენა ბძანეთ ის, რო კლასობრივმა იდეოლოგიამ ფაკტები არ დაამახინჯოს, არ ჩაყლაპოს ადამიანის ფხიზელი ჭკუა, წრფელი გული და სინიდისი, პარტიულმა ჯინმა, გაბოროტებამ და ფანატიკოსობამ არ ისხვერპლოს ავტორის სულიერი საუნჯე, მიუდგომლობა და ჭეშმარიტი ობიეტიკური მსჯელობა...

თავადი ა. მ. ერისთავის წიგნი გატაცებითაც იკითხება და მკითხველის გძნობა-გონების დიდათ გამაფხიზლებელიც არის.

ყოველ ცოცხალ ქართველს გულწრფელათ ვურჩევთ, წაიკითხოს ეს წიგნი.

ხომლელი.

ჩემი პასუხი.

პირველათ ლოცვა-კურთხევას გამოვითხოვ თქვენგან, მამაო დეკანოზო, და თავმდაბლათაც გთხოვთ: თქვენი არა საკადრისი და კადნიერი სიტყვები ჩემ მიმართ ხმარებული, უკანვე დაიბრუნთ. მე ჩემ დღეში არაფერი „გამომიცხვია,“ მით უმეტეს, სიცრუე.

რაც შეეხება ეპ. გაბრიელის პასუხს, რომელიც მან ქუთაისის ეკლესიის კათედრიდან გასცა ილ. ხონელს, ეს ამბავი სრული ჭეშმარიტებაა. ამის მოწამე თვით მე ვიყავი. აი, საქმე როგორ იყო.

1881 წ. დედა ჩემი ჩამობძანდა სოფლიდან ქუთაისს და ერთ კვირა დღე მოისურვა არქიერის წირვის მოსმენა. დედამ ინება, მე გავყოლოდი ეკლესიაში.

წირვის შემდეგ, ჩვეულებრივ, გამობძანდა ეპ. გაბრიელი და ქადაგებით მიმართა მლოცველთ. ამბიონიდან სხვათა, შორის, გაბრიელმა თქვა: „ჩემზე ჯლაბნიან, ვითომ მე ქურდი უნდა ვიყო, ვითომ მე უნდა გამეცარცვოს გელა-

თი“ და სხვა. განსვენებულმა, ცროობილმა სიფიცხით, შეაჩვენა მისი დამწერი. გაბრიელი ისეთი საცოდავი იყო იმ წამში, რო სიბრალული გამოიწვია მორწმუნე ადამიანის გულში... იმ დროს, მე იმ წლოვანებაშივიყავი, როდესაც გაზეთებს არ კითხულობენ, მარა ძალიან კარგათ მივხვდი, რათგან სახლში ხშირათ ვიყავი მოწამე გელათის გაცარცვის შესახებ ლაპარაკისა.

თქვენი ვინაობა, მამაო დეკანოზო, ჩემთვის სრულიათ უცნობია. მარა თვით თქვენ გამაცანით თქვენი თავი, როდესაც წერთ: „ იმ დროს, როდესაც გელათის ნივთებზე საქმე გახმაურდა, მე გაბრიელის კრებულში ვმსახურობდი. არც ერთ წირვის დროს, ეკლესის კათედრიდან არავითარი სიტყვა არ წარმოუთქვამს გელათის ნივთების თაობაზე“. თუ კრებულში ითვლებოდით, უეჭველია, თქვენ ბძანებულხართ იმ დროს, ან მედავითნე, ან გალობელი, ან საცეცხურის მკეთებელი. ეს ისეთი მცირე, საფარეშო საფეხურებია საეკლესიო ღვთის მსახურებაში, რო შეიძლება, სადმე ვაგზავნილიც ბძანდებოდით, და ქადაქება გამოგჩათ. ან იმ დროს, როდესაც გაბრიელი ქადაგებას შეუდგა, თქვენ სულიერ საზდოს, მიწიერი საზდო ამჯობინეთ ბ ეკვდერში დარჩენილ სეფისკვერის ნაჭრებს მიირთმევდით ბ გაბრიელის ქადაგება დაგავიწყდათ, ან და არ გახსოვთ... ყოველ შემთხვევაში, ეს ცოდვათ არ ჩაგეთვლებათ ბ არც საბუთად გამოგადგებათ, იმის დასამტკიცებლათ, რომ ამისთანა ქადაგებას ადგილი არ ქონდეს... თქვენა ბძანებთ: „ არა თუ რუსულსა ბ ქართულ გაზეთებში იბეჭდებოდა მისი პასუხი ჯელათის ნივთების შესახებ, არამედ ინგლისისა ბ ფრანგულ გაზეთებშიაც-კი გადაიტანესო“. ვინ გადაიტანა და რა გადაიტანეს.?! საკითხავია ხომ? თქვენ, მამაო დეკანოზო, უკაცრავათ გახლავართ ამ სიტყვებისთვის, მარა რაღაცისთვის ყური მოგიკრავთ ბ ვერ გაგიგიათ.. აი, ამ ამბის გარემოება როგორი იყო. როდესაც სატახტო ქალაქის გაზეთებში გამჟღავნდა გელათის გაცარცვის ამბავი, ინგლისურ გაზეთის ჰეტერბურღელმა კორესპონდენტმა წერილი დაბეჭდა თავის გაზეთში, რომელშიაც იგი ურჩევდა ინგლისის მთავრობას: ბრიტანიის მუზეუმიდან, რომელმაც შეიძინა გელათის ფასდაუდებელი სახარების ყდა ბ სხვა ნივთები, მაღალ ხარისხოვან ქურდების გატანილი საქართველოდან, ინგლისის მთავრობას ისევ საქართველოსთვის დაებრუნებია, როგორც მისი ნაციონალური სიმდიდრე. აი, რა ეწერა ინგლისურ გაზეთებში ბ არა ის, რასაც თქვენა ბძანებთ.

საზოგადოთ უნდა მოგახსენოთ, მამაო დეკანოზო, თქვენ გლახა სამსახურს უწევთ განსვენებულ გაბრიელს ბ გირჩევთ თავი გაანებოთ მას. გაბრიელი ისეთი ძლიერი პიროვნებაა ჩვენ ცხოვრებაში, რო თქვენი დაცვა მას არ ეჭირვება. კვლავ გირჩევთ, თქვენი პირადი ვალდებულობა განაგრძოთ: ილოცოთ თქვენი მრევლისთვის ბ ნურც მე ცოდვილს დამივიწყებთ თქვენ ლოცვაში...

თუ მიხვდებით, დიდი პატივი დაგდეთ, რო პასუხის ღირსათ გაგხადეთ. მე კარგით ვიცი, ორ ღობეში ჩემსავით მოსიარულეს ყეფა არ აცილდება. მე ამ ყეფას ყურათლებას არ ვაქცევ, როდესაც სიმართლეს ვიცავ..

ლ. ბახტაძე.

ერობა

რამდენი ხანია, ჩვენი ქვეყანა ერობას ნატრობს. ერობის საკითხი რამდენჯერმე წამოაყენა ჩვენში თვით მთავრობამ და მანვე წაიღო უკან.

დღეს ამ საკითხმა ხელახლა წამოყო თავი და გამოიწვია კამათი, როგორც მწერლობაში, ისე საზოგადოებაში. პრინციპი, მიზანი ერობისა, საზოგადოთ, ასეთია: ადგილობრივი მცხოვრებლები, მაგალითად, ერთი რომელიმე მაზრა თვით უნდა განაგებდეს და აწარმოებდეს თავის ეკონომიური ხასიათის საქმეებს. ის ხელს უწყობს ვაჭრობა—მრეწველობისა და მეურნობის გავითარებას, გაყავს გზები, სარწყავი არხები, აარსებს საავათმყოფოებს; სხვა და სხვა

ტიპის სამეურნო, სახელოსნო სასწავლებლებს და სხვა. ამისთვის კრეფს საერობო გადასახადს და ხარჯავს მას ადგილობრივი საჭიროებისთვის.

ხალხის ეკანომიური ცხოვრების წარმატებისთვის რომ ერობა სასარგებლოა, ეს ცხადია. მაშასადამე, ერობა საჭიროა და სასურველია ყველგან.

საკამათო თვით ერობა კი არ არის, არამედ ერობის ტიპი, მისი შემადგენლობა.

რაკი ერობა, განაგებს მაგალითად, შორაპნის მაზრის ეკანომიურ საქმეებს, ამ საქმეების წინ წასაძღოლათ ერობა მცხოვრებლებში კრეფს ფულს და თვით ხარჯავს, ცხადია, შორაპნის მაზრის მთელი მცხოვრებლები: გლეხი, აზნაური, თავადი, ერის კაცი და ღვდელი — ყველა ერთნაირათ უნდა შედიოდეს ამ ერობაში და ყველა თანასწორის უფლებით სარგებლობდეს.

ამას მოითხოვს სამართლიანობა და საქმის სარგებლობა.

სინამდვილე-კი სრულებით სხვას გვეუბნება. რუსეთში ერობა დამტკიცდა 1864 წ. მას შემდეგ, მთავრობამ დაუწყო ამ ერობას მაკრატლით შესწორება, ჩამოაცალა, რისი ჩამოცლაც-კი შეიძლებოდა და დღეს არსებობს 1890 წლის ერობა.

ამ კანონით ერობა არი ვიწრო წოდებრივი, ერობის მთელი საქმეები, მთელი მართვა-გამგეობა არი თავად-აზნაურობის ხელში, გლეხობისა-კი შიგ მხოლოთ ნასახია. დღეინდელ ერობაში დემოკრატია განდევნილია, სამაგიეროთ, გაბატონებულია არისტოკრატია.

ამ ტიპის ერობას თხოულობენ ჩვენშიაც და აშკარაც არი, სხვანაირ ერობას მთავრობა ჩვენ არ მოგვცემს; დღეინდელს პირობებში, ხალხს არ შეუძლია თვისი საკუთარი, დემოკრატული ერობა მოიპოვოს.

მაშ, რა უნდა ვქნათ?

— არ გვინდა ასეთი ერობა, საიდანც დემოკრატია განდევნილია, მოგვესმის ერთის მხრიდან...

მოგვეცით ასეთი ერობა, დღეს ჩვენ მეტი არ გვინდაო, ამბობენ სხვები.

წარმოიდგინეთ, რო ვისმე მართებს თქვენი ასი თუმანი. ბევრი თხოვნა მუქარის შემდეგ, გეუბნებათ: თუ გინდა, ათი თუმანი მიიღე, თუ არა და ერთ კაპეიკს მეტს არ მოგცემო. როგორ უნდა მოიქცეთ?

თუ გონიერებას აყვებით, გამოართმევთ ათ თუმანს და, შემდეგ, ეცდებით დანარჩენი ამოიგოთ. თუ ვერ ამოიგეთ, ეს ათი თუმანი ხო მაინც შეგრჩებათ?

თუ გულის წყრომას აყვებით, რასაკვირველია, არ მიიღებთ. მარა, თუ ვერაფერი ამოიგეთ, მაშინ ათი თუმანიც დაგეკარგებათ.

რუსეთის ბიუროკრატია სხვილი მოვალეა. ამას ბევრი რამა მართებს ჩვენი ხალხისა. მარა ერთბაშათ მოცემა ეძნელება, უარზეა და დღეს გვაწვდის 1890 წლის უკუდო ერობას.

გონიერება მოითხოვს, ეს ერობა მივიღოთ და, შემდეგ, თუ-კი შევიძლებთ და ამ ერობას კუდს გამოვაბამთ, ვინ დაგვიშლის...

ამ გვარ ერობას ჩვენ მადლობით-კი არ მივიღებთ, არამედ იმ იმედით, რო ცოტა წელში მოვმაგრდეთ და, შემდეგ, უკეთესი მოვიპოვოთ.

თუ ერთბაშათ არ შეგვიძლია ჩვენი ვალის აღება, რა საწინააღმდეგო იქნება, რო ნაწილ-ნაწილ ავიღოთ?

საკითხავი მხოლოთ ის არის, არსებულ ტიპის ერობას შეუძლია თუ არა, რაიმე სარგებლობა მოუტანოს ხალხს.

1890 წლის ერობა, უმთავრესათ, მემამულეთა ხელშია.

რაკი ასეთი ერობა გახორციელდება ჩვენში, საერობო დაწესებულებანი თავად-აზნაურობის ხელში იქნება.

მაშასადამე, ყოველი ფერი გაკეთდება მხოლოთ თავად-აზნაურობის სასარგებლოთ და გლეხობას, მშრომელ ხალხს-კი არაფერიო, იფიქრებს ბევრი. მარა ამგვარი „მაშასადამე„ სიმართლესთან დაშორებული იქნება.

თუმცა ერობის შემადგენლობა ვიწრო წოდებრივია, მარა ვიწრო წოდებრივი არ არის ის საქმე, რომელსაც ერობა ახორციელებს.

რაც უნდა ეცადოს ერობაში მოქცეული

თავად-აზნაურობა, მარტო თავისთვის გააკეთოს ყოველივე, ამას ვერ მოახერხებს და, აი, რატომ.

ერობამ უნდა გააკეთოს სოფლებში გზები. გზა წოდებრივი რამ არ არის: იმით ისარგებლებს სოფლის ყველა მცხოვრები.

ერობა გახსნის სასწავლებლებს დაბებში, სოფლათ, სამაზრო ქალაქებში. აქ ისწავლის ყველა- გლეხიც, აზნაურიც.

ერობა დაარსებს სავათმყოფოებს; აქ დახმარებას აღმოუჩენენ ყველას—გლეხსაც, აზნაურსაც.

დაიმშა ხალხი, მოუსავლობისა გამო. ერობა ეცდება ხალხს სარჩო მოუპოოს, განურჩევლათ წოდებისა.

გაჩდა საქონლის ჭირი?

რანაირათ შეიძლება, რომ ერობის მოხელეებმა თავადის საქონელი დაიფარონ, გლეხისა—კი არა.

და მრავალი სხ.

ერთი სიტყვით, რა ვიწრო წოდებრივიც უნდა იყოს ერობა, შეუძლებელია, რო მან ცოტა სარგებლობა მაინც არ მოუტანოს ხალხს; შეუძლებელია, რომ ერობის ხელში ჩვენი სოფლის ცხოვრება უკეთესი არ შეიქნეს, ვიდრე დღეს არი.

რუსეთში თავად-აზნაურობა ბევრათ უფრო ძლიერია, ვიდრე, ჩვენში.

მიუხედავათ ამისა, ჩვენ ვერ ვიტყვით, რო რუსეთში ერობას არავითარი სარგებლობა მოეტანოს ხალხისთვის.

ჩვენში დემოკრატია ძლიერია და შეგნებული, რო მისი ზეგავლენით ერობამ ჩვენში ხალხის სასარგებლოთ არა გააკეთოსრა.

თუ დემოკრატია ერობიდან გადევნილი იქნება, რანაირათ იქონიებს ის ერობაზე გავლენასო, იკითხავს მკითხველი.

ჩვენი ქვეყანა პატარაა, დემოკრატია დღითიდღე ვითარდება, თვით ცნობიერდება, ძლიერდება და ამიტომ იმის გავლენას, იმის ზნეობრივ ძალას ჩვენში ვერც ერთი დაწესებულება ვერ აცდება.

ივ. გომართელი.

ქაღალდის კრიზისი.

ამ ჟამათ რუსეთი ქაღალდის საშინელ კრიზისს განიცდის. საკმაო ქაღალდი არ იშოვება გაზეთების და წიგნებისთვის. ქაღალდის ნაკლებობამ თავი ბიუროკრატულ კანცელარიებშიც და სავაჭრო კანტორებშიც იჩინა. ქაღალდის ფასი მეტისმეტათ ასწიეს და თან მისი ღირსება-თვისებაც გააუარესეს. ამ მეტათ მძიმე გარემოებას საზოგადოების მოწინავე ელემენტები ერთი ხანია დიდ ყურათღებას აქცევენ. მართლაც, დღეს ქაღალდი პირველ მოთხოვნილების საგანი შეიქნა. არამც თუ ბურჟუაზიისთვის, ფართო დემოკრატულ წრეებისთვის ქაღალდის მოთხოვნილება პურის ალაგს იჭერს.

რუსეთის დემოკრატულ ელემენტებში წერა-კითხვის სურვილი იზდება, ჟურნალ-გაზეთებს უფრო და უფრო ეტანებიან, რომ უგაზეთოდ არსებობა მათ აღარ შეუძლიათ. ქაღალდის ნაკლებობის გამო, წიგნების გამოცემა იშვიათი ხილი შეიქნა, ხოლო ჟურნალ-გაზეთები დღითი-დღე ძვირდება, რაც დრო გადის, მდგომარეობა უარესდება.

მიუხედავათ იმისა, რო ქაღალდის წარმოების სტატისტიკა მეტათ კოჭლობს, მაინც საკმაო ცნობები მოიპოვება, რომლის მეოხებითაც ქაღალდის კრიზისზე დაახლოებითი წარმოდგენის შედგენა შეიძლება.

ომის დაწყებამდი მთელ რუსეთის იმპერიაში 20 მილიონი ფუთი ქაღალდი მზადდებოდა. გარდა ამისა, რუსეთში 8 მილიონი ფუთი ქაღალდი ფინლიანდიიდან შემოქონდათ. ამჟამათ წარმოების საერთო კრიზისის გამო, რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებში ქაღალდის წარმოება 12 მილიონ ნახევარ ფუთამდი დაეცა. ფინლიანდიიდან შესაძლებელია 9 – 10 მილიონი ფუთი ქაღალდის შემოტანა. ამგვარათ, ომის დაწყებამდი, რუსეთის ბაზარზე საჭირო იყო 30 მილიონი ფუთი ქაღალდი, ხოლო დღეს ბაზარზე სულ 20 მილიონი ფუთი ქაღალდი გამოაქვთ. მართალია, მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე 5—6 მილიონი

ფუთი ქაღალდი იყო საჭირო. მარა ეს რომც გამოვაკლოთ, საჭიროა 25 მილიონი ფუთი ქაღალდი.

მდგომარეობა ასეთი მკაცრი და აუტანელი არ იქნებოდა, რო რუსეთის იმპერიაში არსებულ ქაღალდის წარმოება არ ფერხდებოდეს და მისი საწარმოო ძალთა გავითარება არ იბოჭებოდეს.

უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რო ქაღალდის ქარხნებს ცელიულოზი აკლია. უკანასკნელი მასალა-კი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს-ქაღალდის წარმოებისთვის. ომის დაწყებამდი, რუსეთის მთელი ბაზრისთვის 10 მილიონი ფუთი ცელიულოზი იყო საჭირო. დასახელებული მასალის დიდ ნაწილს მტრის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე ამზადებენ. დანარჩენი ფინლიანდიიდან და საზღვარგარეთიდან შემოქონდათ. ახლა, ეჭვსგარეშეა, ცელიულოზის ნაკლებობა მთელი რუსეთის ბაზრისთვის მეტად დიდი და აუწერელია. მართალია, ცელიულოზის დამზადება ძონძებიდანაც შეიძლება. მარა უბედურებაც იმაშია, რომ უკანასკნელი მასალაც რუსეთის ბაზარზე ძნელი საშოვარი შეიქნა. ნაკლებათ იშოვება ქაღალდის წარმოებისთვის საჭირო მეორე უმთავრესი მასალა-ხის ნაფხეკი, რომლიდანაც, უმთავრესათ, ჟურნალ-გაზეთების ქაღალდი მზადდება. უკანასკნელ მასალას, უმთავრესათ, ფინლიანდიაში აკეთებენ. ნაფხეკი ხის მასალა ამჟამათ 250 პროცენტით გაძვირდა. ამ გარემოებას ზედ დავუმატოთ ტრანსპორტის გაძვირება და მაშინ აშკარათ დავინახავთ, რო ქაღალდის კრიზისი დღითი-დღე უნდა გაძლიერდეს და, შეიძლება, საბედისწერო ხასიათიც მიიღოს. მართალია, ხის ნაფხეკის დამზადებისთვის რუსეთის იმპერიის აუარებელი ტყეები დიდ მასალას იძლევა. მარა დასამუშავებლათ საჭიროა გავითარებული საწარმოო მანქანები, სამუშაო ხელი, გავითარებული ტრანსპორტი, რაიცა დღეინდელ პირობებში, რუსეთში ფრიად ძნელი მოსახერხებელია. ამით სარგებლობენ სპეკულიანტები და ქაღალდის ფასს თავ ის ნებაზე მაღლა წევენ. ქაღალდი დღითი-დღე ძვირდება. ამით ჟურნალ-გაზეთობა და, საერთოთ, კულტურა საფრთხეში ვარდება.

ინგლისის სოციალისტები ინტერნაციონალის აღდგენის შესახებ.

ინგლისის სოციალისტური პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელ კომიტეტს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა:

„ძვირფასო ამხანაგებო! ინგლისის სოციალისტური პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა თქვენგან მიიღო, დეკემბრის რიცხვით, გამოგზავნილი პირი წერილისა, რომლითაც საერთაშორისო აღმასრულებელ ბიუროს მიმართა ნორვეგიის, დანიისა და შვეციის სოციალდემოკრატულ ორგანიზაციების შეერთებულმა კომისიამ. ამ წერილში გამოთქმულია იმედი, რო მიღებული იქნება ყოველივე ზომა ომის შესაჩერებლათ და მტკიცე ზავის დასამყარებლათ; გამოთქმულია აგრეთვე სურვილი, რო საერთაშორისო ბიურომ ახლავე სცადოს ინტერნაციონალის სხვადასხვა სექციების გაერთიანება და ამისთვის მოაწყოს სექციათა თათბირი ზავისთვის წინასწარი მუშაობის შესასრულებლათ.

მსგავსათ სკანდინავიის ქვეყნების სოციალ-დემოკრატულ პარტიებისა, ინგლისის სოციალისტურ პარტიას სურს, რაც შეიძლება, მალე გაერთიანდეს საერთაშორისო დემოკრატიის ძალები სამშვიდობო ჰოლაპარაკებაში ცხოველი მონაწილეობის მისაღებათ და გავლენის მოსახდენათ, თანახმათ 1910 წლის კოპენჰაგენის სოციალისტური კონგრესის მიერ შემუშავებულ პროგრამისა, რომელიც დაადასტურა მოკავშირე ქვეყნების სოციალისტთა კონფერენციამ ლონდონში, 1915 წლის თებერვალში, და აგრეთვე ავსტრია-გერმანიის სოციალ-დემოკრატულმა კონფერენციამ ვენაში, წარსული წლის აპრილში.

ბრიტანიის სოციალისტური პარტია აცხადებს, რომ არავითარი ისეთი დაბრკოლება

არ არსებობს, რომელიც შეუძლებლათ ხდიდეს ინტერნაციონალის ცალკე სექციების პირდაპირ გაერთიანებას და მისი მოღვაწეობის განახლებას და სრულ იმედს გამოთქვამს, რომ ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი ენერგიულ ზომებს მიიღებს სექციათა საერთო თათფირის მოსაწვევათ.

ამ თათფირის მიზანი უნდა იყოს: შეთანხმება ინტერნაციონალის სხვადასხვა ნაწილებს შორის საერთო და ერთდროული გამოსვლების შესახებ საერთაშორისო კონგრესების დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლათ.

მიიღეთ ძმური სალამი! ბრიტანიის სოციალისტური პარტიის კომიტეტის მონდობილობით, მდივანი **ალბერტ ინკპინი**".

მადლობის გამოცხადება.

ჩვენ ნახევრათ მკვდრები, ქართველი კატორღელები, ჩვენი დაკოდილი გულის ფიცრიდან ულრმეს და უგულითადეს მადლობას ვწირავთ ჭიათურის ზედა-რგანის მთავარ ანგელოზის ეკლესიის ღვ. ბესარიონ ვაშაძეს, რომელიც ჩვენთვის, ქართველ კატორღელებისთვის დაუღალავათ ეწევა შრომას და გვიმოწმებს შესაფერისათ, ჩვენი ტანჯვის გულშემატკივართა მიერ შემოწირულ ქართულ წიგნებს და ჟურნალებს. უამისოთ-კი აკძალულია ჩვენთვის დედაენაზე წიგნების და ჟურნალების მიღება.

ამასთანავე მადლობას ვუცხადებთ, ჩვენი ვიწრო და ნესტიანი საკნიდან ყველას, ვინც ჩვენ აუტანელ მდგომარეობას გვისუბუქებს სულიერ საზდოს მოწოდებით.

ვარშავის საკატორღო ციხის ყოფილნი ახლა-კი ნიჟნი-ნოვგოროდის საკატორღო ციხის ქართველ კატორღელების მონდობილობით:

პ. ოხრობეთელი.

პროტესტის გამო.

საზოგადოებაში დიდი აურზაური გამოიწვია „რუსკია ვედომოსტში" დაბეჭდილმა პროვოკაციამ, ქართველების წინააღმდეგ. გაზეთებში კიდეც დაიბეჭდა ამის გამო საპროტესტო წერილები, მრავალთაგან ხელმოწერილი. მარა არც თვით კორესპონდეტი, არც გაზეთი, რომელმაც ასეთი პროვოკაციის ნება მისცა თანამშრომელს, ჩემი ღრმა რწმენით, ღირსნი არ არიან პროტესტისა. მხოლოთ ერთგვარ ზიზღს გამოიწვევს პატიოსან ადამიანებში. ვაჟ-ბატონი, რომელსაც ასეთი საპროვოკაციო კორესპონდეცია შეუთხზავს, ჩემის აზრით, გახლავთ ბურჯი „კავკაზსკოე სლოვოსი" **პეტროვიჩი**, ან ავდეევი, (რომელსაც კიდევ სამი, თუ ოთხი გვარი აქვს მას ყოველ შემთხვევისთვის). ეს ვაჟბატონი ქართველების საშინელი მტრობითაა გაჟღენთილი... მას არა ერთხელ მოუთავსებია პროვოკაციის ხასიათის წერილები, ქართველების წინააღმდეგ, ამავე „რუსკია ვედომოსტში" **სირინის** ფსევდონომით. გარდა ამისა, ბ-ნმა გრიგოლ დიასამიძემ, სასახლის ქუჩაზე, **მას საჯაროთ უწოდა პროვოკატორი**. ამ დროს მე იქ ვიყავი და პეტროვიჩმა მომმართა: „Вы будете свидѣтелемъ"—ო. მე— განვუცხადე, რო სიამოვნებით დავამოწმებ, რო მას საჯაროთ უწოდეს პროვოკატორი. მარა გადის მთელი წელიწადი და პეტროვიჩს არც სასამართლოში გაუწვევია ვინმე და ხმაც-კი არ ამოუღია. აგრეთვე მისი ნაამხანაგარნიც ამბობდენ, რომ საეჭვო პიროვნებაა. ცხადია, ასეთ ადამიანთა პროვოკაციას ანგარიშს ვერ გავუწევთ.

რაიც შეეხება „რუსკია ვედომოსტის" საქციელს, აქაც, ჩემის აზრით, ახალი არაფერია. წინათაც ყოფილა ასეთი სუნის წერილები ამ გაზეთში. აქ უნდა გავიხსენოთ რუსეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის, გრენის საზიზღარი ინსინუაცია, რომელიც ჩაიდინა მან თამარ მეფის სახელის წინააღმდეგ ამ ხუთმეტიოდე წლის წინეათ. როგორც მაშინ მოვიქეცით, ისე უნდა მოვიქცეთ ახლაც.

ი. გოგოლაშვილი.

სულით ავათმყოფობა.*)

გონება, მეხსიერების დაყურადღების შებღალვა ჯერ აძნელებს და, მერე, შეუძლებლათაც ხდის ავათმყოფისთვის თითოული ახალი გძნობა და წარმოდგენა მან უკვე შედგენილ წარმოდგენათა შორის თავის ადგილას მოათავსოს მეხსიერებაში და ამისთვის მჯელობა, აზრთა დასკვნანი ულოღიკოთ წარმოებენ. ასეთ ჭკუა თხელებს ავათმყოფობის დასაწყიში ოდნავ ეპარებათ შეცდომები მსჯელობაში. მარა შემდეგში, შეცდომები ხშირდება და, ბოლოს, უბრალო წინა დადებასაც ვეღარ ახერხებენ.

აზრების ქროლვა და აზრების დაუკავშირებლობა შეიძლება ერთი მეორეს მოსდევდეს, ან ერთად არსებობდეს ერთი და იმავე ავათმყოფის ლაპარაკში.

უნებური ფიქრების უსაფუძლობას და უვარგისობას ზოგი ავათმყოფი გძნობს, ებძვის მას. მარა თავიდან მაინც ვერ იშორებს და ეს იწვევს მის ტანჯვას, ამიტომ ასეთ ფიქრებს უწოდებენ მქენჯნავს. მქენჯნავ ფიქრებში უნდა გავარჩიოთ ისეთები, რომელთა გამომწვევათ ავათმყოფი თვლის გარეშე პირთა თვალთ მაქცობას და ავ-განზრახვას, ეს ფიქრები გალუციანაციური არიან და ინტელეკტის დაბეჩავებას ნიშნავს. ასეთი ავათმყოფების მორჩენის იმედი არ უნდა ვიქონიოთ.

არის მეორე ნაირი დაჯინებით მქენჯნავი ფიქრი, რომლის საფუძვლიანობაში ავათმყოფს ეჭვი არ შეაქვს. მაგალითად, თავის შვილზე დამგლოვიარებული დედა დაჯინებით ფიქრობს, რო თუ ესა და ეს წამალი მიმეღებინებია ჩემი ავათმყოფი შვილისთვის--ის არ მომიკვდებოდაო.

ნორმალურ მდგომარეობაში თითოულ ჩვენ სულის მოძრაობას თან მისდევს სუბიექტიური გძნობები კმაყოფილობისა, ან უკმაყოფილობისა, იმისდა მიხედვით, თუ რომელი მათგანი მეტობს—ჩვენც, ან კარგს, ან ცუდს გუნებაზე ვდგებით. ასეთ შემთხვევაში, თავისთავად იგულისხმება, რო ჩვეულებ პატარა სასიამოვნო მოვლენას პატარა კმაყოფილება უნდა მოსდევდეს და დიდ საწყენს-დიდი უკმაყოფილება და რამოდენიმეთ ,ისინი ერთმანეთს უნდა აბალანსებდენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ უმნიშვნელო მიზეზები დიდ მღელვარებას იწვევს და მნიშვნელოვანი თითქმის შეუმჩნევლათ რჩებიან,— ეს ანორმალური მოვლენა სულით-ავათმყოფობის ნიშანია. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ავათმყოფი მეტათ ამოძრავებულია, ყბედობს, თავმომწონეა, იცინის. ან ტირის, იგინება, იწყევლება, ყველას ედავება და ემუქრება. ასეთი სულით ბორგვა ხშირია ისტერიის, თანშობილის, თუ შეძენილის ჭკუა თხელობის, პროგრესიული დამლის და მოხუცებულობით გამოტვინების დროს.

სულით-ავათმყოფის მწუხარება, ან უმიზეზოა, ან მცირედი მიზეზისგან არი გამოწვეული: ის მოწყენილი და გამწარებულია, ეძებს მარტოობას, რო მყუდროში სრულიად მიეცეს თვის მწუხარებას, დადის ნელა, მოხრილი ,ბ დაღვრემიღი, უმძიმს თვისი სიცოცხლე, ტირის, ბედს ემდურის და სიკვდილს ნატრულობს. ზოგ შემთხვევაში ასეთი ავათმყოფი გძნობს, ა. წ. სულის ტკივილს: ავათმყოფს აუტანელი ბოლმა აწვება, კისერში ებჯინება და გულს უხუთავს, ან სადმე ტანში ისეთ მძაფრ ტკივილს გძნობს, რომ ის ოხრავს, იწეწს თმას, იხევს ტანსაცმელს და თავსა სცემს კედლებს—ამ დროს ავათმყოფი საფთხილოა, იგი არ ზოგავს არც თავისთავს, არც სხვას-ყველაფერს ანაცარტუტებს.

ამ მდგომარეობას უახლოვდება აფეკტიური მღელვარება, როდესაც ავათმყოფს მეხსიერება და გონება დროებით დაბნელებული აქვს, მსჯელობის უნარი დამცირებული, ან სრულიად დამდგარია და ავათმყოფი მხოლოთ უსიამოვნო გძნობებით მოცულია. ასეთ სავალალო მდგომარეობაში ვარდებიან ჩვეულებრივ გადაგვარებულნი, ლოთები, ავზნიანები და ისტერიით დაავადებულნი.

სულით ავათმყოფობის ნიშნობლივ თვისებას შეადგენს აგრეთვე ფსიქიურ გძნობათა სიჩლუნგე-ავათმყოფური აპატია, როდესაც ავათმყოფი სრულიად გულგრილათ და უგუ-

*) იხ. „ცხოვრება," №7.

ლოთ უყურებს ყველაფერს, რაც კარგათ ყოფაში მის საზრუნავს, მხიარულებას და ნუგეშს შეადგენდა, ახლა-კი მას აღარაკინ უყვარს, არცა სძულს—გამოიყურება შტერათ, ლაპარაკობს ერთ ხმაზე და უსიცოცხლოთ—ეს გამოტვინების ნიშანია.

სულით—ავათმყოფობისთვის არა ნაკლებ დამახასიათებელია არა ნორმალური ლტოლვილებანი, მაგალითად, საჭმელის მხრით: მიწის, ნაცრის, ნახშირის, ცარცის, სილის, განავალის, შარდის ბ სხ. ჭამიობა; ყნოსვის მხრით, მახორკის, განავალის და სხ. მყრალი სურნელებათა მოყვარულობა. მხედველობის მხრით: სასჯელის, ცემის, ტანჯვის, ჩხუბის, მკვლელობის და სხ. ცუდ და მურტალ სანახაობათა მოყვარულობა; სქესობრივი უკულმართობა: სადისტი ტანჯავს თავის სხვერპლს და ამაში პოებს სქესობრივ კმაყოფილებას, ხოლო მაზოხისტი მაშინ პოებს სქესობრივ კმაყოფილებას, როდესაც მას ამ განზრახვით ტანჯავენ, ფეტიშისტი წარმოიდგენს ხოლმე თავის სატრფოს სხეულის ერთ-ერთ ნაწილს—ხშირათ ფეხებს, ან მის ნაქონ ნივთს, პედერასტი ეტრფის მამაკაცს, ტრიბადისტკა ქალს და ნეკროფილები მიცვალებულთა სხეულს. ეს ჩვევიათ დეგენერატარებს, იდიოტებს და სხვა.

სულით ავათმყოფობა გამოიხატება აგრეთვე მოქმედების არევდარევითაც: ავათმყოფს ეტყობა ანორმალური აჩქარებულობა მოქმედებაში და უთავ-ბოლო ლაპარაკში, რომლებიც გძელდებიან მთელი საათობით და დღეობით, მათ ემჩნევათ იმპულსიურობა-უნებურობა და თითქოს ავათმყოფს არ ქანცავენ, რათგან გამოწვეული არიან შესაფერი სამოძრაო ცენტრების გაღიზიანებით თავის ტვინში. ასეთი გაფიცხებული აფექტიური მოძრაობა ჩვევიათ მანიაკებს, პარანოიკებს, პროგრესიული დამლით დაავადებულთ და ნაადრევათ გაგიჟებულებს. წინააღმდეგ ამისა, მელანქოლიის და სიშტერის დროს, ავათმყოფი ცოტას მოძროობს, ოდნავ აცმაცურებს ტუჩებს და ჩურჩულობს. ასეთ მდგომარეობას ხშირათ თან მოსდევს ნეგატივიზმი, ე. ი., ავათმყოფი მოქმედობს და ამბობს სწორეთ იმის წინააღმდეგს, რასაც მისგან მოითხოვენ.

ტეტანიის დროს ავათმყოფს სხეული სახსრებში მოხრილი აქვს და ემზგავსება საშოში მყოფ ნაყოფს.

ისტერო-კატალეპსიის დროს კუნთები დაჭიმული არიან, მარა სხვის ნებას ემორჩილებიან და ისეთ მდგომარეობას შეინარჩუნებენ, როგორსაც მისცემენ, თითქოს სანთლიდან ჩამოსხმული ყოფილიყვენ.

ისტერო-კატალეფსიასთან ახლოს არის ავტომატიზმი, როდესაც ავათმყოფი აწყობილი მაშინასავით იმ მოქმედებას შეუწყვეტლივ განაგძობს, რომლისთვისაც აამოძრავებენ, სანამ დამაბრკოლებელი ფიზიკური მიზეზი არ შეხვდებათ. თუ ავათმყოფი უმიზნოთ და უაზროთ ერთ და იმავე მოძრაობას იმეორებს თავით, ხელით, ტუჩებით და სხ. ეს იქნება სტერეოტიპული მოძრაობა.

სულით-ავათმყოფებს ლაპარაკი შემდეგ ნაირათ აქვთ შებღალული: იდიოტები ცუდათ გამოთქვამენ თითოულ ბგერას ბ მათი ლაპარაკი გაუგებარია. პროგრესიულ დამლიანს წინადადებიდან რჩება სიტყვები და სიტყვებში აკლდებათ ზოგი ბგერა და ალაგ-ალაგ ბორძიკობენ, მეხსიერების შესუსტების გამო. მელანქოლიკები და პარანოიკები-კი მუნჯდებიან რამდენიმე ხნით.

სულით ავათმყოფობის დროს, წერასაც თვისი დაღი ასვია: პროგრესიული დამლის დროს, ხელი მთრთოლარე უსწორ-მასწოროა და ნაწერში ასოები და მთელი სიტყვებიც აკლია; ლოთების ნაწერს, განსაკუთრებით ბოდვის დროს, ემჩნევა კლონიური შეხუთვა: ნაწერი იკიბაკო და დაკლაკნილია.

არა ნაკლებ ნიშნობლივ თვისებას შეადგენს ავიზნიანისა, ლოთისა და ისტერიკისთვის პორიომანია-აბორგებულობა, კლეპტომანია-ქურდობა, — პიროომანია-გადაწვის სურვილი და სხ...

სულით-ავათმყოფებს ფიზიკურ სფეროშიაც თავისებური ცვლილება აქვთ: მანიაკალურ სიგიჟის დროს, ტემპერატურა მომატებულია,

ისტერიის დროს ავათმყოფი სახეზე წამოწოლილებულია, ხოლო მელანქოლიისა და აპატიურ გამოტვინების დროს, ხელ-ფეხი დალურჯებული აქვს; ჭკვა თხელებს და პარანოიკებს ლორწკი (ნერწყვი) ბლომათ მოსდით პირიდან, ხოლო ცრემლი ძლიერ ეძვირებათ, რაც განსაკუთრებით სამძიმოა მელანქოლიკებისთვის. შარდის რაოდენობა ჩვეულებ პერიოდიულათ ცვალებადია. უძილობა ჩვეულებრივი მოვლენაა ბევრ მანიაკალურ სულით-ავათმყოფობათა დროს, გარდა იმ ფსიხოზებისა, რომლებიც გამოწვეული არიან ტვინის ორგანიულათ ცვლილების გამო— ამათ მძინარეობა მოსდევს.

ისტერიას და პროგრესიულ დამლას ახლავს ხშირათ ტროფიული ცვლილებანი, მაგ. დალუჯებული წამოსივება ყურის (ოტემატომა), ძვლების დამტვრევა, ნაწელის გაჩენა და სხ... წონა (სიმძიმე) სულით-ავათმყოფობის დასაწყისშივე კლებულობს, ხოლო გამომთელებისა და უკანასკნელ ჟამს—გამოტვინების ხანაში წონა ხელ-ახლათ მატულობს.

ნათქვამი გვაქვს, რო ყოველი სულიერი მოძრაობა წარმოობს თავის ტვინში. ამისთვის სულით-ავათმყოფობის მიზეზებიც ამ ტვინის ცვლილობაში უნდა ვეძებოთ. ამ მხრით კვლევა-ძიებას დღითი-დღე მეტი პატივი ედება, რათგან აქამდი დაუჯერებელი და წარმოუდგენელი ცვლილებანი აღმოაჩინეს სულით-დავადებელთა ტვინის ქსოვილში. ამისთვის სრულიად ადვილი გასაგებია, თუ რისთვის ემყარებიან ტვინის ასეთ, თუ ისეთ მდგომარეობას სულით-ავათმყოფობათა კლასიფიკაციის დროს.

მკურნალი ს. დადუნაშვილი.

შენიშვნები.

ღვდელმთავრები: ანტონი, გაბრიელი და ლეონიდი.

(თხზულებანი ეპ. ლეონიდისა, პირველი ტომი, გამოც. 1914 წ.)

XI.

ჩვენი მწერლები, საზოგადო მოღვაწენი, ხალხისთვის ჭირნახულები ხედვენ—რო ვერ მიდის ჩვენში საქმე სასურველათ, გული ულივდებათ, პირ და პირ აშფოთებულნი არიან, რის გამოც წერენ, მეტყველობენ, იბძვიან, რო სწორი გზა გაჩეხონ და ხალხიც ზედ გაიყვანონ. მარა საქმე, რაც უკან არ მიდის, წინ არა... ამ სტრიქონების წერის დროს მივიღე „სახალხო ფურცელის“ (1915 წ.) №289, რომელშიაც ბ-ნი სიტყვას ფელეტონია მოთავსებული, სათაურით:—„ბევრი გვყავს მოღვაწე, მარა სერიოზული მოღვაწე—ცოტა. ჩვენებური საზოგადო დაწესებულება და ინტელიგენცია. წყურვილი ზნეობრივი გატეტვლებისა.“—თუმცა ამ ფელეტონში მოთავსებული აზრი ახალი არ არის, ის თითქმის მეასეჯერ გამეორებაა ჩვენი ცოდვების. მარა მისი შინაარსი იმდენათ ეწყობა ამ ჩვენ წერილს, რომ არ შეგვიძლია არ გადმოვიტანოთ აქ ნაწილი ამ ფელეტონისა. ეი, ისიც:—„ჩვენში ძალზე სუსტია მოვალეობის შეგნება, როგორც საზოგადობრივისა, ისე კერძოსი. ამგვარ შეუგნებლობასთან მჭიდროთ არი დაკავშირებული ჩვენი ცულლუტობა, სიზარმაცე, დაუდევრობა, თუ საქმე არ შეეხება ჩვენს პირად სარგებლობას, თუ ჩვენი მუყაითობა პირადათ ჩვენ არ შეგვმატებს რასმე. არა გვაქვს დრო ის პატივისცემა, არ ვაფასებთ საქმეს; ჩვენს სინიდისს და თავმოყვარეობას არა აქვს იმდენი გავლენა, რო ხელმძღვანელობა გაგვიწიოს, ეყოს ჩვენი მეთვალყურე და ზედამხედველი. არავინ ვცთილობთ, რო სავსებით გამოვიყენოთ შრომის უნარი, გავაკეთოთ სრულათ, რის გაკეთება შეგვიძლია, თლად ამოვწუროთ საქმე. ასეთები ვართ ყველანი, ასეთები ვართ ცხოვრების ყოველს დარგში, თეორეტიული, თუ პრაქტიკულის, საზოგადო, თუ კერძომუშაობის დროს. დღეს თითქოს ყოველი დარგის და საქმის მუშები გვყავს, სპეციალისტები, მოღვაწენი, თითქოს ზოგან მუშაკთა გადამეტებულობასაც ვხედავთ. მარა ჩვენი უბედურობა ისაა, რო მომქმედი და მოღვაწე თითქოს ბევრია ჩვენში, მარა თითქმის არც ერთი არაა სერიოზული მოღვაწე, არც ერთია, რო შეგნებული ქონდეს სიმძიმე ნაკისრები საქმისა, რო სერიოზულათ შეუდგეს საქმეს

და სინდისიერათ, პატიოსნურათ შეასრულოს, რი გაკეთება იდვა თავზე. გამბედავი და მოურიდებელი ხალხი ვართ და ყველაფერს ადვილათ ვკისრულობთ. მარა ადვილათვე ვივიწყებთ ჩვენს მოვალეობას... არ შემიძლია ამის დასახატავათ არ ამოვწერო ერთი ადგილი ილ. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივიდან“. — „გიორგი (ოთარანათ ქვრივის შვილი) ტყეში ყოფილიყო ჭიგვის საშრელათ, გვიამბობს ავტორი, — ოთარაანთ მოჯამაგირე ენახა ტყეში. თურმე, ურმები გამოუტანებიათ შეშისთვის და ის-კი ჩდილში წამოწოლილიყო და ლაზათიანად ხვრინავდა. ეს კიდევ არაფერი. კამეჩები წნელით გამოება ურემზე, საცოდავი პირუტყვები იქავე ურმის თვალთან ეყარენ და ზარმაცათ იცოხნიდენ. უილაჯობით, გიორგი თურმე, ზედ მიადგა მოჯამაგირეს, ტყიდან მოდენილი ფეხი წაკრა გასაღვიძებლათ, — ადე, ძმობილო, აუშვი კამეჩები, ცოდონი არიან. — შენ რა ჩემი ფეხები გინდა, — დაუყვირა მოჯამაგირემ, როცა თვალები წამოაჭყიტა. — თვითონ რომ არ ვარგიხარ, შენი ფეხები ვისთვის, რის მაქნისია. კამეჩები ცოდონი არიან-მეთქი, მერე შენ რა გეპრიანება,? — ის მეპრიანება, რომ არამია შენთვის ჯამაგირი. ვთქვათ, პატრონს ატყუებ, ე ჰირუტყვი მაინც არ გენანება, ქრისტიანი არა ხარ, მაგათი ცოდვა მაინც არა გწვავს!.. მოგიღძვია საცოდავები წნელით ურემზე, შიმშილით ფერდეაი ჩასცვივნიათ. — მაშ, არა და თავზე დავისვამდი. — დაისვამდი, მე ვიცი, მაგ ქეციან თავზე ბევრს-კი მოძოვდენ. აი!.. ვერა ხედავ ტყეში ბალახი მუხლამდეა! ფასი ხო არ გაგივა, გაგეშო, პირი მოეტყუებიათ. — გამეშო რა, მუქთი ფეხები მაქვს, მაგათ ძებნაში, მერე, სული ამომრთმევოდა. — აი, შე უნამუსო! აქაო და არავინა მხედავსო, ნამუსის ქუდი აგიხდია და ლაფში გადაგიგდია. შენს ღმერთს რაღას ეუბნები! აქაო და კამეჩი პირუტყვია, შებრალება არ უნდა, თუნდაც სხვის ამანათი, სხვის მონაბარი არ იყოს...“ ასე გვიხატავს დაკვირვებული ხელოვანი ჩვენი ცხოვრების ორტიპს, გიორგის, რომელიც პირდაპირ იდეალური პატივისმცემელია საქმის, და მოჯამაგირეს, რომელსაც, თუ ვინმე ყურს არ უგდებს, თუ ვინმე თავზე არ ადგია, მუდამ ყველაფერი ფეხებზე კიდია. არც საქმის გაფუჭების დარდი აქვს, არც უენო პირუტყვი ებრალება. რასაკვირველია, აქ მოსატანი არ არის ის, რო მოჯამაგირე დაქირავებული კაცია, სხვისთვის მუშაობს და ამიტომ ხალისი არა აქვსო. დღეს-დღეობით მთელი კაცობრიობის ცხოვრება მეტ წილათ მოჯამაგირობაზე, შრომის დაქირავებაზეა აგებული და ამის იზეზით, რო მუშაობაში ცულლუტობა გაეფდეს ყოვლათ შეუძლებელი იქნებოდა რაიმე გავითარება და წინ, ქვეყნის დაღუპვის მეტს, ვერაფერს დავინახავდით: შრომის უპატივცემულობა და შრომის სამართლიანი განაწილება ერთი და იგივე არაა, რასაკვირველია... ჩვენში ძლიერ ცოტაა გიორგისანა პატიოსანი და სინდისიანი მუშა, სამაგიეროთ, ბევრის ბევრია „მოჯამაგირე“ ისეთი, როგორიც ზევით იყო დახატული.

ბევრია, განსაკუთრებით, ჩვენს, ასე წოდებულ, განათლებულ წრეებში. ჩინებული ინტელიგენტი ყველაფერს კიდებს ხელს და არაფერს-კი აკეთებს. ათს ინტელიგენტს შორის, ცხრა უთუოთ ისეთია, რო წარბშეუხრელათ, დაუფიქრებლათ, ერთს წუთს იყისრებს უდიდესი ჯარის სარდლობას, უძნელესი პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტასაც, უსაშინელესი უბედურობის თავიდან მოშორებას. იგი უნიჭიერესი სტრატეგიკაა, პოლიკოსიც და საოცარი გამოგონების აღმომჩენიც. მარა... მხოლოთ სიტყვით და არა საქმით. ვიღოთ, აი, თუნდა ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი, ჩვენი ჟურნალ - გაზეთობა. ჩვენებური ინტელიგენტი, აბა, საზოგადოებაში იმიტო კი არ მიდის, რო ნათლათ ქონდეს გათვალისწინებული ის საქმე, რომელსაც უნდა ემსახუროს, ესმოდეს პასუხის მგებლობა საზოგადოების წინაშე, არამედ მიდის იმიტო, რომ „სახელი“ ქონდეს, „საზოგადო მოღვაწის“ ტიტული დაიმსახუროს. მთელი მისი მოღვაწეობა საზოგადოებაში ისაა, თვეში ერთხელ — ორჯელ დაესწრება გამგეობის სხდომის, ერთ — ორს მაღალ ფარდიანს და მყვარალა სიტყვას წარმოთქვამს საზოგადო საქმეების, ეროვნული ვინაობის დაცვის, ინტელი-

გენციის მეთაურობისა და წინამძღოლობის და სხვის შესახებ. მარა ეს მაღალი ლაპარაკი იქვე რჩება სხდომის დარბაზში და, როგორც—კი ოთახიდან გამოდის, მყის ავიწყდება საზოგადოებაც, ერიც და თვისი გაცხარებული კამათი და სხვილ—სხვილი სიტყვების რახა-რუხი. თქმა არ უნდა, ამგვარი „საზოგადოებრივი მოღვაწეობა“ ვერც ერთს ჩვენს საზოგადოდ დაწესებულობას ვერ დააწინაურებს და, ამიტომაცაა, რო ჩვენი საზოგადოებანი, გარდა ორიოდესი, ძლივს ითქვამენ სულს ..“

კირილე წუთისოფელი.

(შემდეგი იქნება.)

მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში*)

საღვდელონი „ფრიად მტკიცენი“ იყვენ სარწმუნოებაში, ეკლესიის დადგენილებათა აღსრულებაში. იმერეთში მიტროპოლიტი თეოფილაქტე დიდი პატივით მიიღეს. მარა, როდესაც იხილეს „მიტროპოლიტისა მის უწესობა და არა სიმტკიცე მონაზონებისა“, როდესაც მან „ოთხშაბათს და პარასკევს ასაჭიროვა მუნებრივნი ღვდელმთავარნი ეჭამათ მათ მარხვა და თეეზი მუნ, აიძულეს იგი, ვითარცა საღვდელოთა, ეგრეთვე საეროთა“ (აბრუნებულიყო ქართლსავე[49]).

თვით მტკიცენი სარწმუნოებაში და საეკლესიო დადგენილობათა აღსრულებაში, საღვდელოების წარმომადგენელნი ცდილობდენ ხალხშიაც განემტკიცებიათ სარწმუნოება, დიდი გავლენაც ქონდათ ხალხზე[50]) და რათგანც სიმდიდრე ხელს უწყობდა, ეკლესია და საღვდელოება წარმოადგენდენ გამუდმებულ და მედგარ ოპოზიციას სპარ-ოსმალების წინააღმდეგ[51]) ამისთვის იმ შავ-ბნელ დროსაც-კი, როდესაც დიდი იყო ძალა და გავლენა მამადიანებისა საქართველოში, ხალხი დიდათ მორწმუნე და მედგრათ დამცველი იყო თავის სარწმუნოებისა და ეკლესიისა[52]) თვით სპარსების შაჰების იძულებული ხდებოდენ აღიარებიათ ეს თვისება ქართველებისა. შაჰი ნადირი მიმართავს თავის ამალას: „ნუ განარისხებთ ქართველებს, სამხედრო ნიჭით და დიდებით გათქმულთა გამოვლილთ იმნაირ სამხედრო ქარიშხალთაგან, რომელიც არყევდა მათ სახელმწიფოს, ხოლო **არა მათს სარწმუნოებას**“[53]).

საქართველოს ეკლესია მდიდარი იყო სარწმუნოებრივი რელიკვიებით, არქეოლოგიური მნიშვნელობის მექონი ძვირფასი ნივთებით, რომელთაც საღვდელოება და ხალხი დიდი მზრუნველობით ინახავდენ.[54])

გადაარჩინეს განადგურებას და მხოლოდ, მშვიდობიანობის დროს, მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, დაიკარგა იმდენი საეკლესიო სიმდიდრე, რამდენიც მთელი შვიდი საუკუნის განმავლობაში მამადიანთა მძლავრობის დროს არ დაკარგულა...

აქ განსაკუთრებული ყურათღება უნდა მივაქციოთ ანტიოქიის პატრიარქი, მავარის მოწმობას, რათგანც მმართველი ეკლესიის წარმომადგენელნი იმის დასამტკიცებლათ, რო საქართველოს ეკლესია დაცემული იყო, ემყარებიან, სხვათა შორის, ამ პატრიარქის აღწერილობაზე. თუმცა მას ქონდა სურვილი თავის თხზულებაში გაეტარებია ის ტენდენ-

*) იხ. „ცხოვრება“, № 5.

49). ბატონიშვილი დავითი. მოხს. ს ხზ. გვ. 141-142.

50) ი. სლივიცკი. Шарденъ и его путешествіе по Грузіи (თფ. 1849) გვ. 25; პროფ. ცაგარელი. Грамоты и др. документы XVIII ст. გვ. 45. თვით საქართველოს ეკლესის ფაკტიური რეორგანიზატორი, გენერალი ტორმასოვიც-კი იძულებული შეიქნა აღიარებია, რო. საქ. საღვდელოებას დიდი გავლენა ქონდა ხალხზე (**акты** IV, 194, 201 და 202). საამღვდელოთა რიცხვი არც ისე დიდი იყო, როგორც ამას გაზვიადებით ამბობდენ მთავარ მართებელნი, დაჯინებით იმეორებდენ წინასწარ კრების წევრნი და, როგორც მე XVIII საუკ. რუსეთში იყო. ტორმასოვის დროს, საქართველოში იყო: 13 ეპარქია, 7 ეპისკოპოზი,-799 სამრველო ეკლესია, 746 ღვდელი. 146 მთავარი და 661 მედავითნე, მონასტრები-9 და მათში 6 არქიმანდრიტი და 75 ბერი (Ibid. 167.)

51) ი. სლივიცკი. მოხს. გვ. 25.

52) ცაგარელი. მოხს. თხზ. ტ. I, 7 („Теплота вѣры у грузинъ великая“) 193 და 218 („грузины„ натуральнымъ разумомъ невѣроятнымъ образомъ одарены; чтожъ принадлежитъ до закона прав. христіанъ, то соблюдаютъ оной строго“); акты ар. К. ტ. XII, ნაწ. I. 41 და სხვ.

53) პლ. იოსელიანი. Описаніе марткопскаго монастыря გვ. 20.

54) პლ. იოსელიანი. Описаніе древностей г. Тифлиса გვ. 238-239, 264 და 289-291; Путешествіе Шардена (Тиф. 1902) გვ. 44,57 და 87; ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა: (თფ. 1901.) გვ. 152-153; ღვ. თამარაშვილი. ისტორია კათალიკობისა ქართველთა შორის. გვ. 86; ბოროზდინი. მოხს. თხზ. გვ. 136, 269 და 306; ეპის. გაბრიელი. „Черты религіозно-церковнаго быта Имеретіи (მოსკოვი, 1873 წ.) გვ. 16 და 22 და სხ.

ცია, რო საქართველოს ეკლესიას,-ძველათგანვე გათავისუფლებულს ანტიოქიის ეკლესიის მფარველობა, მზრუნველობა და დამოკიდებულებისგან, შეეპარა არა მართმადიდებლური ჩვეულებანი, რომელთა აღმოსაფხვრელათ საჭიროთ თვლიდა პატრიარქების ამ მხარეში მოგზაურობას. მარა მაინც იძულებული გახდა დაედასტურებია ქართველთა ღრმა სარწმუნოება. თავი და თავი მიზეზი, ოისთვისაც უნდოდა დაემტკიცებია ანტიოქიის პატრიარქების დროგამოშვებით საქართველოში ჩამოსვლის საჭიროება, იყო მატერიალური ინტერესები. ამ მოგზაურობის დროს მათ კარგი შემოსავალი ქონდათ. მაშასადამე, თავის აღწერილობაში უნდა ცდილიყო დაესაბუთებია, რომ ის არა ამ მიზნით ჩამოვიდა საქაროველოში, არამედ არა ქრისტიანულ ზნე-ჩვეულებათა მოსასპობათ. ამისთვის, ადვილი ასახსნელია მიზეზი მისგან ბევრ საქმეში ქართველების ძაგება. მარა მით უფრო ძვირფასი და ყურათსაღებია აღწერილობის ის ადგილები, სადაც ის იძულებული ხდება აღიაროს ქართველთა კეთილი ზნე-ჩვეულებანი და ღრმა სარწმუნოება.

აი, პატრ. მაკარის აზრი ხალხის სარწმუნოებაზე საქართველოში: „სასულიერო პირებს-ქართველები ძალიან მორიდებით ეპყრობიან, მათს ძვირს ვერას გზით ვერ ათქმევინებთ. როდესაც თავადები, დიდებულნი და მათი მეუღლენი გზაზე შეეყრებიან ღვდელთმთავრებს, თუ ცხენით არიან, ჩამოქვეითდებიან და მორიდანვე დაუწყებენ მუხლმოდრეკით თაყვანისცემას, შემდეგ, ადგებიან და მიიღებენ მისგან ლოცვა-კურთხევას. ლოცვა-კურთხევის მიღების შემდეგ, განშორდებიან უკან-უკან დახევით, რო ზურგი არ შეაქციონ მას და ხელმეორეთ მუხლმოდრეკით თაყვანს სცემენ მას. ამნაირათ იქცევიან, არა თუ მარტო უბრალო ქართველნი, არამედ მეფე-დედოფალნიც. **ძალიან უყვართ ქადაგება-დარიგების მოსმენა** და დიდიხალისით ასრულებენ დამრიგებელის სიტყვა-ბძანებას. რაც უნდა უბედურობა ეწიოს მათ, დიდი მოთმინებით, უდრტვინელათ, გადაიტანენ და ითმენენ. **ვერ გაიგონებ მათგან სალანძღავ სიტყვებს არც სარწმუნოების და არც ბერობის წინააღმდეგ მიმართულს**, როგორც ეს ჩვენში არისო, დასძენს მაკარი. ქართველი ქალები, ძალიან იშვიათი შემთხვევის გარდა, **უბიწოანი, დვთის მოშიშნი არიან და ძალიან მკაცრათ ასრულებენ სადმრთო მცნებებს.** თვითეულ დიდებულთა ცოლებთან უთუოდ არის ერთი, ან ორი მოლოზანი, რომელთაც, როგორც ყველა დიდებულთ ქალთა, კარგათ იციან წერა-კითხვა. თვითოულ დღეს, ჩვეულებრივ ლოცვების შესრულების შემდეგ, ისინი, უთუოდ, გალობენ ღვთის მშობლის იმ საგალობელს, რომელიც ჩვეულებრივათ იკითხება დიდ მარხვის მეხუთე შაბათს. ყველა დიდებულნი და მათი ცოლშვილნი ასრულებენ თავიანთ ქრისტიანულ მოვალეობას. ქართველები **მეტათ გულ-კეთილნი მოწყალენი და მორწმუნენი არიან**, ძალიან უყვართ მიცვალებულთ მოსახსენებლათ წირვის შეკვეთა, რისთვისაც დიდ ძალ ფულს ხარჯავენ. უანგარიშო ფული ეხარჯებათ **მოწყალების დასარიგებლათ**, აღაპების გასამართავათ [55]) და სხვა და სხვა კეთილ საქმისთვის, **რითაც ისინი განირჩევიან სხვა მთელი დედამიწის ქრისტიანეთაგან. განსაკუთრებით ქალები არიან გათქმულნი მოწყალების გატანით და კეთილ-მოჯახეობით. უყვართ წირვა ლოცვა.** უმეტესობა სასულიერო წიგნების კითხვას და მათი გადაწერას თავის წმიდა მოვალეობათ სთვლის. დიდებულთა ქალებს განუმორებლათ ხელში აქვთ კრიალოსნები და განუწყვეტლივ ლოცვაში არიან. ძვირფასათ შემკული ხატების წინ ქართველებს ძალიან უყვართ ზეთის კურთხევა და ამ საიდუმლოს შემსრულებლებს უხვად აჯილდოვებენ. სადილობის დროს, **ეოგელთვის გალობენ ძალის ბერებს, კატავასიებს და სხვა საეკლესიო საგალობლებს.**

შემდეგი იქნება.

რედაქციამ მიიღო ჟურნალები „განათლება“, № 4, აპრილის ნუმერი დ „სკოლა და ოჯახი“, № 3. ჟურნალები ფაქიზათ არი შედგენილი და მდიდარი შინაარსით სავსე.

---

[55])აღაპს ძველად დიდი საქველ-მოქმედო მნიშვნელობა ქონდა და იყო ორ ნაირი: უბრალო და კარგაღებული. ამ უკანასკნელზე იკრიბებოდენ ქვრივ-ობოლნი. საჭმლით, ნუგეშის გარდა, მათ ეძლეოდათ სხვა და სხვა ნაირი შემწეობა. სამწუხაროთ, აღაპების მართვა შეწყვეტილ იქნა იმ დროიდან (მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისი), როდესაც საქართველოს ეკლესიამ დაკარგა თავისუფლება და ადგილ-მამულების მართვა მას ჩამ ერთვა. საზოგადოთ აღაპებზე შემდეგ გვექნება საუბარი. აწინდელ აღაპებს არავითარი მსგავსება არა აქვთ ძველის დროის აღაპებთან. ავტ.

რედაქტორ-გამომცემელი რომანოზ ფანცხავა

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან. სტამბა „ძმობა“, ქარვასლის ქ., სახლი ჩარექოვისა.

1916 მიილება ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარსის სურათებიანი ჟურნალი იუმორისტული განყოფილებით, შარჟებით და კარიკატურებით

წელიწადი მეოთხე

„თეატრი და ცხოვრება“

წელიწადი გამოცემისა მეოთხე

1916 წელსაც გამოვა

წლიურად 5 მან. ნახ. წლ. 3 მან.

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმოხვეჭილ და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში ხუთასამდი სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით — 3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ—ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს — 2 მ. მაისში — 2 მ. ენკენისთვეს 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება. **ხელის მოწერა მიილება** „სოროპანის“ სტამბაში (მადათოვის კუნძ. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. **ფოსტით:** Тифлитъ. ред. „Театри да Цховреба“ — Іос. Имедашвили.

ტელეფონი № 15—41.

ედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„სამშობლო“

გაზეთის ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევრი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური დამატებიანი — 7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „მერეთის“ ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული გზავნოთ ემდეგის ადრესით: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“, თფილისის ქუ. სახლი ბ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება ნახატებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობა რიცხვის გამრავლებაზე.

ვთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი პორტეთები.

ვთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ პორტრეთები.

მოწვეულნი არიან ცნობილნი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში ამოქვეყნდება.

რედაქტორი ი. თ. ტინტაძე.